ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ, იკითხეთ

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 135 (2051) | ხუთშაბათი, 5 ოქტომბერი, 1995 წელი. | ფასი 25 თეთრი

„საქართველო არჩევნებიდან გამოვა უფრო განმტკიცებული, გამთლიანებული და განწმენდილი"

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის – სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა ადგილობრივი მმართველობის, უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა რესპუბლიკურ თათბირზე 1995 წლის 1 ოქტომბერს



ტერორიზმსა და ტერორისტებზე მშვიდად ვერ ილაპარაკებ...

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

მინდა ვილაპარაკო დღის წესრიგის განსახილველი საკითხის ძირითად ასპექტზე. ეს არის საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების ორგანიზაციული უზრუნველყოფა, არჩევნების უზრუნველყოფა იმ თვალსაზრისით, რომ ყველა მოქალაქეს ჰქონდეს საშუალება თავისუფლად, ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე გამოხატოს თავისი ნება.

დღეს ჩვენ ყველას დიდ სიხარულს გვანიჭებს ის ფაქტი, რომ საქართველო გახდა კონსტიტუციური ქვეყანა. მე რამდენჯერმე გამოვხატე ჩემი დამოკიდებულება იმ უაღრესად ძნელი და რთული პროცესისადმი, რომელიც ჩვენ გავიარეთ. მინდა ათი ათასი მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც ამ რთულ ეტაპზე მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. — ლაპარაკი არ არის იმაზე, თუ რომელ პარტიას ეკუთვნიან ისინი. ვფიქრობ, პარლამენტში ძალიან კარგად ვითანამშრომლეთ და ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ ხალხი, ჩვენი მოსახლეობა, განწყობილი იყო, რათა ქვეყანას მიეღო ისეთი კონსტიტუცია, რომელიც იმუშავებს არა მარტო დღევანდელ, არამედ ხვალინდელ დღესაც, ქვეყნის მომავლისათვის. მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ: კონსტიტუცია (მაპატიეთ, თუ ზოგიერთ მოსაზრებას კვლავ გავიმეორებ) ძალიან დიდ უფლებებს გვანიჭებს. იგი დიდ უფლებას ანიჭებს პარლამენტს და ასევე საკმაოდ დიდ უფლებებს ანიჭებს პრეზიდენტს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ პრეზიდენტი ვერ დაითხოვს პარლამენტს, როგორი რთული მდგომარეობაც უნდა შეიქმნას საპარლამენტო ცხოვრების თვალსაზრისით. მას არა აქვს ამის უფლება, ბევრი სხვა ქვეყნის, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომლებიც ახალ წყობაზე გადადიან და, სადაც პრეზიდენტი საკმაოდ დამოუკიდებელია პარლამენტისაგან. თუ იგი რაიმეს არ დააშავებს, თუ მის მიმართ არ იქნება გამოყენებული ის ღონისძიება, რომელსაც იმპიჩმენტი ჰქვია, იგი სერიოზულ დამოუკიდებელ ფიგურას წარმოადგენს მთელი თავისი სტრუქტურით. აქედან გამომდინარე, ჩვენმა ხალხმა თუ ვერ მოახერხა ისეთი პარლამენტის არჩევა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანას და უზრუნველყოფს კრიზისიდან მის გამოსვლას, მაშინ ჩვენ იქნებ სანანებელიც გაგვიხდეს კონსტიტუციის მიღება. წარმოიდგინეთ, მომავალი ოთხ-ხუთი წელი გადამწყვეტი წლები იქნება საქართველოს ისტორიაში, ახალ ისტორიაში დღევანდელი და ხვალინდელი დღის თვალსაზრისით, ეს იქნება რეფორმების, ასე ვთქვათ, სრულმასშტაბიანი განხორციელების წლები. პრაქტიკულად ეს ჩვენს საზოგადოებაში ახალი აზროვნების ჩამოყალიბების, ბოლოს და ბოლოს, კრიზისიდან საბოლოოდ გამოსვლისა და ახალ სარბიელზე, ახალ ასპარეზზე გასვლის წლები იქნება. ეს იქნება ყველა იმ ჩრდილოვანისა თუ ნეგატიურის დაძლევის წლები, რომელთა შესახებაც ახლა დიდი გულისტკივილით ვლაპარაკობთ დღეს ამ ტრიბუნიდან და ასეთი განწყობილება არის დარბაზშიც და მთელ მოსახლეობაშიც. მაგრამ ეს მოხდება მაშინ, თუ ჩვენ ავირჩევთ ისეთ პარლამენტს, რომელიც თავისი მოწოდების, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების სიმაღლეზე აღმოჩნდება, იმ კონსტიტუციისა, რომელიც ჩვენმა ხალხმა მოიწონა და მხარი დაუჭირა. აქედან გამომდინარე, უმთავრესი მაინც ის არის, რომ მოქალაქეს ჰქონდეს თავისუფალი არჩევნის უფლება. პირველმა ნეგატიურმა სიმპტომებმა, რომლებიც უკვე გამოჩნდა, — ეს გახლავთ ფულის ტრიალი, აქა-იქ იარაღის ტრიალი ხელმოწერების შეგროვების პროცესში, გვაიძულა მოგვეწვია ახლა ეს საგანგებო თათბირი, თუმცა, არა იმდენად იმ ფაქტების გამო, რომელთა შესახებაც აქ ილაპარაკეს ბატონმა შოთა კვირაიამ, ბატონმა ჯამლეტ ბაბილაშვილმა და სხვებმა, არამედ სწორედ ამ სიმპტომების გამო. დღეს აქ მოგიწვიეთ, რათა გვეთქვა თქვენთვის, რომ ეს არჩევნები გადამწყვეტია საქართველოს ბედისათვის. ეს ხუთი წელი მართლაც გარდატეხისა და გარდაქმნის ნამდვილი ეტაპია. აქედან გამომდინარე, გთხოვთ სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულებს, გამგებლებს, მერებს, ადგილობრივი მმართველობის ხელმძღვანელებს, ყველას, რომ ამჟამად ყურადღების ცენტრში არჩევნები გქონდეთ. ლაპარაკია იმაზე, რომ დაცული იყოს წესრიგი და ადამიანის უფლებები (მე ვიტყოდი, რომ ხმის მიცემის უფლება ერთ-ერთი უმთავრესი უფლებაა), ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურისა და უმაღლესი ორგანოს არჩევის უფლება, და ეს უფლება არ უნდა შეილახოს და არ უნდა დაირღვეს.

ჩემი აზრით, ჩვენ შეგვწევს ძალა, რათა არჩევნებიდან კიდევ უფრო განმტკიცებული, კიდევ უფრო შემჭიდროებული, და, ასე ვთქვათ, განახლებული და განწმენდილი გამოვიყვანოთ ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი — ასეთი მიზანი უნდა დავისახოთ. ეს ამაღლებული მიზანი კი შეუთავსებელია იმ სიმპტომებთან და სიგნალებთან, უკვე რომ შემოდის ჩვენთან.

მინდა მცირეოდენი საყვედური გამოვთქვა ჩემი მეგობრების მიმართ, რომლებიც ამ ტრიბუნიდან გამოვიდნენ. მათ გამოხატეს მხარდაჭერა პრეზიდენტობის ერთი კანდიდატის მიმართ. ალბათ, ეს თათბირი არ არის ისეთი თათბირი, რომელზეც ამას ხაზი უნდა გასმოდა. ეს მაინც ხელისუფლების მიერ; ჩემი ინიციატივით მოწვეული თათბირია. ამიტომ, გთხოვთ, რომ არჩევნების დროს და არჩევნებისათვის მზადების პერიოდში ვიყოთ აბსოლუტურად ობიექტური, ჩვენ უნდა ვენდოთ ჩვენს ხალხს, თუ მას რაღაცაში დახმარება სჭირდება, უნდა დავეხმაროთ, დავეხმაროთ, გაერკვეს იმაში, თუ როგორი სიტუაციაა შექმნილი ადგილებზე და საერთოდ ქვეყანაში. სხვა მხრივ, ჩვენი ხალხი ბრძენი ხალხია, თუ არ იქნება შანტაჟი, თუ არ იქნება რაღაც იძულებით თავსმოხვეული ნაბიჯები, იძულებითი ზომები და იძულებითი აქციები. ხალხს უნდა ვენდოთ, ამომრჩეველს უნდა ვენდოთ და მივცეთ სრული თავისუფლება, შევქმნათ იმის გარანტიები, რომ მან შეძლოს თავისუფლად გამოხატოს თავისი ნება.

ვიცი, რომ ხელმოწერების შეგროვებისას ცალკეულ ოჯახებში მიდიოდნენ და ზოგჯერ იარაღითაც კი აიძულებდნენ ხელი მოეწერათ. მე აღარაფერს ვამბობ ფულის ფაქტორზე. აი, ამის წინააღმდეგ უნდა იბრძოლონ პოლიციამ და პროკურატურამ, ასეთ ფაქტებს უნდა მიაქციონ ყურადღება უშიშროებამ, გამგებლებმა, მერებმა და სხვებმა. ეს უნდა გამოირიცხოს. ყველა მოქალაქეს უნდა ესმოდეს, რომ ღირსეულთათვის ხმის მიცემა — ეს საქართველოს თითოეული მოქალაქის აქტიური წვლილი, აქტიური მონაწილეობაა ქვეყნის მშენებლობაში, თავიანთ ხვალინდელ კეთილდღეობასა და ქვეყნის კეთილდღეობაში.

აუცილებელია, თითოეულმა თქვენგანმა, ვისაც ეს ეხება, ვინც ვერ მოასწრო, გულდასმით შეისწავლოს კონსტიტუცია, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდება შესაბამისი კომენტარებით. ძალიან კარგად უნდა შევისწავლოთ საარჩევნო კანონი, რათა ვიცოდეთ, რის უფლებას გვაძლევს ეს კანონი და რის უფლებას — არა, რა შეიძლება დავუშვათ და რა — არა, რას უნდა ვებრძოლოთ. ჩვენ არაფერს არ მოვითხოვთ ისეთს, რაც კანონს ეწინააღმდეგება. მოვითხოვთ, რომ თქვენ დაიცვათ საარჩევნო კანონი. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია უაღრესად მჭიდრო ურთიერთობა საარჩევნო კომისიებთან.

მინდა გთხოვოთ, რომ ყოველი საჩივარი, რომელიც კი გაჩნდება არჩევნებამდე, თვით არჩევნების დღემდე, მოქალაქეთა მიმართვები, ყოველი სიგნალი, გულდასმით განვიხილოთ და დროულად მივიღოთ ზომები, რათა დარღვევათა ფაქტები არ დაგროვდეს და არ იქცეს სისტემად.

(დასასრული მე-2 გვ.)

ჟამი დიდი არჩევნისა

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება

საარჩევნო ბლოკების განცხადებებისა და პარტიული სიების წარდგენის შესახებ

ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

პარტიებს, რომელთაც სურთ საარჩევნო ბლოკად გაერთიანება, 6 ოქტომბრის 18 საათამდე უფლება აქვთ განცხადებით მიმართონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და თან წარუდგინონ პარლამენტის წევრობის კანდიდატთა სია. პარლამენტის წევრობის კანდიდატმა სააღრიცხვო ბარათში უნდა მიუთითოს ბლოკის დასახელება, ან ბლოკში შემავალი ერთ-ერთი პარტიის დასახელება მაინც.

კომისიის თავმჯდომარე
ივანე ქიღურაძე.

1995 წლის 3 ოქტომბერი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება

საარჩევნო ბლოკების მიერ საოლქო საარჩევნო კომისიებში წევრის დანიშვნის შესახებ

ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

საარჩევნო ბლოკს, თუ ამ ბლოკში შემავალ პარტიებს ან ერთ პარტიას მაინც საოლქო საარჩევნო კომისიაში დანიშნული ჰყავდა წევრი, უფლება აქვს შესაბამის კომისიაში დანიშნოს წევრი არაუგვიანეს არჩევნებამდე მე-20 დღისა, ე. ი. 16 ოქტომბრის 18 საათისა.

კომისიის თავმჯდომარე
ივანე ქიღურაძე,

1995 წლის 3 ოქტომბერი.

მოხსნა თავისი კანდიდატურა

საქართველოს მწვანეთა პარტიამ საპარლამენტო არჩევნებში მოხსნა თავისი კანდიდატურა.

შეიქმნა ორი ბლოკი

საქართველოს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისათვის შეიქმნა და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა ახალი ბლოკები: 1. „ეკონომიკური აღორძინება (ყვითლები)", რომელშიც გაერთიანდნენ კონსტიტუციურ-დემოკრატიული და პროგრესულ-დემოკრატიული პარტიები. 2. „რეფორმატორთა კავშირი (ეროვნული თანხმობა)". მასში გაერთიანდნენ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება — საქართველოს რეფორმატორთა კავშირი, ქართველ სპორტსმენთა კავშირი და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „კოლხეთი".

საქინფორმი.

ვიზიტის წინ

ევროკავშირის კომისარი საგარეო ურთიერთობის საკითხებში ბატონი ჰანს ვან დენ ბრუკი

ჰანს ვან დენ ბრუკი დაიბადა 1936 წლის 11 დეკემბერს ქ. პარიზში. საშუალო სკოლა დაამთავრა ქ. ჰილვერსუმში (ჰოლანდია). სწავლობდა უტრეხტის (ჰოლანდია) უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რის შემდეგაც გაიარა მენეჯმენტის უმაღლესი კურსები ქ. ნორდვაიკში (ჰოლანდია).

1965-1968 წლებში მუშაობდა ადვოკატად ქ. როტერდამში.

1969-1973 წლებში იყო კომპანია „ენზეკას" დირექტორატის მდივანი და კომერციული მენეჯერი (ქ. არნემი, ჰოლანდია).

1970-1974 წლებში არჩეულ იქნა ქ. რედენის მუნიციპალიტეტის წევრად. 1976-1981 წლებში ჰოლანდიის პარლამენტის ქვედა პალატის წევრია.

1978 წლიდან გახდა ჰოლანდიის კათოლიკური ხალხთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი.

1981-1993 წლებში ეკავა ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნისა, შემდეგ კი ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტები.

1993 წლიდან ჰანს ვან დენ ბრუკი ევროკავშირის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს — ევროკომისიის წევრია. ამჟამად მის კომპეტენციაში შედის ევროკავშირის ურთიერთობა აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპასთან, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან, ასევე ერთიანი უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები.

ჰანს ვან დენ ბრუკს ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.

სიტუაცია

ენას მართლაც ძვალი არა აქვს

ედუარდ შევარდნაძეს ყაზახეთში ნავთობის ორი ჭაბურღილი ჰქონია...

4 **ოქტომბრის** ღამის გამოშვებაში რუსეთის ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამამ (PTP) „ვესტი" საქართველოს უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფის მიმართ ისეთი გულისამაჩუყებელი ყურადღება გამოიჩინა, რომ... არავის აღარაფრის აღარ რცხვენია ამ ქვეყანაზე, რადგან საბაზრო ეკონომიკის ფულს სუნი არ უდის და შენისმიერ შეკვეთილ მელოდიას დაუკრავს გაყიდული ორკესტრი, ყალბ პასაჟებს ისეთ რეგისტრსა და რიტმში აჟღერებს, როგორც პოლიტიკურ სიბინძურეს ეკადრება წინასაარჩევნო ტოკატაში. დირიჟორს გააჩნია და ავტორს.

ი. გიორგაძემ „პოდმოსკოვიეში" ბაბიე ლეტოს ფონზე სიცრუის ისეთი შედევრი შექმნა, „ვესტისაც" რომ არ ახსოვს.

ერთმა ფრაგმენტმა განსაკუთრებით მოხიბლა მაყურებელი. ი. გიორგაძემ, არც მეტი, არც ნაკლები, განაცხადა, რომ ედუარდ შევარდნაძეს ყაზახეთში ნავთობის ორი ჭაბურღილი აქვსო.

როტშილდობის ამ ვერსიის კომენტარი ყაზახეთში საქართველოს ელჩს **თემურ ბოზოღლაძეს** ვთხოვეთ, რომელიც თბილისში აღმოჩნდა და გუშინ დაბრუნდა ალმა-ათას.

— რა ბრძანეთ? — ჯერ ვერ გაიგო, რასაც ვეკითხებოდი, იძულებული ვიყავი, გამემეორებინა შეკითხვა. როდესაც დარწმუნდა, რომ ანეკდოტის მოყოლას არ ვაპირებდი, თქვა:

— ეს გადაცემა, მართალი გითხრათ, არ მომისმენია, მაგრამ ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს.

ყაზახეთი დღეს ძალიან დიდ ენერგეტიკულ სიძნელეებს განიცდის. უწინარეს ყოვლისა, ეს შეეხება ნავთობის მოპოვებას. 12-14 მილიონი ტონა წლიური მოპოვება 4 მილიონამდე შეუმცირდა. ამასთან, მისი ნავთობი საკმაოდ დაბალი ხარისხისაა. ამიტომ იმას, რაც დღეისთვის დარჩა, ეს ქვეყანა ძნელად მისცემს ვინმეს. ეს პრინციპულად.

ის კონკრეტული განცხადება კი, მარტივი სისულელეა. ვფიქრობ, მხოლოდ ძალიან გულუბრყვილო ხალხზეა გაანგარიშებული, ან იმათზე, ვისაც ხელს აძლევს ასეთი სისულელის დაჯერება.

ასეთი ჭაბურღილები ყაზახეთში არ არსებობს და არც შეიძლება, რომ აქ პიროვნებას საკუთარი ჭაბურღილები ჰქონდეს.

ჩვენ, საელჩო, ბატონ ედუარდ შევარდნაძის დავალებით, 8-9 თვეა მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ყაზახეთის მთავრობასთან ნავთობის ჭაბურღილების ერთობლივად დამუშავების საკითხზე. ამ თემაზე საუბარი არ არის იოლი და არც გადაწყვეტილების მიღება იქნება ადვილი. მაგრამ, ინტენსიურ მუშაობას ვაგრძელებთ და იმედი გვაქვს, იმ დროისთვის, როდესაც ბატონი ნურსულთან ნაზარბაევი ჩამოვა საქართველოში, შევძლებთ მივაღწიოთ შეთანხმებას, რომ ჩვენმა ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერონ შესაბამის დოკუმენტს.

— მაინც რა აძნელებს ამ მოლაპარაკებას?

— ყაზახეთის ნავთობის დაბალი ხარისხი — პარაფინისა და გოგირდის დიდი შემცველობა. მისი ტექნიკური დამუშავება ჩვენმა სპეციალისტებმა უნდა აითვისონ. ეს მაინც დასაძლევი პრობლემაა. მთავარია, რომ ყაზახეთს გაუჩნდეს სურვილი ჩვენთან ერთად საქმიანობისა. ვაგრძელებთ მუშაობას და იმედი გვაქვს, რომ დადებით შედეგს მივაღწევთ და ეს სიკეთე მაშინ ჩვენს ხალხს მოხმარდება.

ნავთობის ინდუსტრია ძალიან სერიოზული საქმეა, სიგარეტის ბიზნესი კი არ არის.

• • •

თქვენ მოისმინეთ მხოლოდ ერთი ფრაგმენტი გაყიდული ორკესტრის — „ვესტის" შესრულებით.

არმაზ სანებლიძე.

საბედისწერო ნაბორძიკება

აქტუალური ინტერვიუ

ბატონ გივი აბალაკს შესაშური ბიოგრაფია აქვს. აფსუს, ამ ინტერვიუში ბევრს ვერაფერს ვიტყვით. იმას კი დავსძენთ, მთელი ცხოვრება სოფლის მეურნეობას დაუკავშირა და თავისი მშობლიური გორის რაიონის აგრარულ სფეროში ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა.

ხალხი არც კარგს დაგივიწყებს და არც ცუდს... რასაც დათეს, როცა არ ელოდები, სწორედ მაშინ მოიმკი და, აკი, ასეც მოხდა. თანამემამულეებმა ბატონი გივი, მაჟორიტარული წესით, ერთსულოვნად აირჩიეს და საქართველოს პარლამენტში თავიანთ წარმომადგენლად გამოაგზავნეს.

დეპუტატისათვის ამომრჩევლის ნდობა უმძიმესი ტვირთია. იგი მის მიმართ დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დგება. დღე ერთია და ამომრჩევლებისაგან უამრავი პრობლემა ჩნდება. ისინი ძირითადად სოციალურ საკითხებსა და აგრარულ სფეროს განეკუთვნებიან.

გორელების რჩეული, ამ მიმართულებით, არც ადრე იყო ჭაბანი. სადეპუტატო მოღვაწეობის პერიოდში კი ცოდნა-გამოცდილება კიდევ უფრო გაიმდიდრა. სწორედ ამ და სხვა მიზეზების გამო შევხვდი ბატონ გივის და ეს ინტერვიუც ასე დავიწყეთ.

— **ბატონო** გივი, იქნებ საუბარი უშესავლოდ დავიწყოთ. ისედაც საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხეხილოვან მცენარეთა ნაყოფი კვების ძვირფასი პროდუქტია.

ნურც ქართულ მეხილეობაზე უცხოელების შეფასებებს გამოვეკიდებით. ჩვენ ის ვთქვათ, რა მდგომარეობაშია დღეს გორის რაიონში მეხილეობის დარგი. რატომ არის, რომ საქართველოში ათზე მეტი მეხილეობის რაიონია, მაგრამ ხილის გაგონებაზე ადამიანს უპირველესად გორი ახსენდება. ზოგს ხმამაღლა აღმოხდება ხოლმე, — გორულ ხილს რა შეედრება, განუმეორებელია ხიდისთაური და ატენური ატამი... არადა, მესხეთის ხილი, თავისი გემოვნებითა და არომატით, ოდითგან ძვირად ფასობს. ხომ არ დაფიქრებულხართ, გორმა უპირატესობა რით მოიპოვა?

— მე მგონია, ხილის მრავალსახეობითა და სიუხვით. ოთხიოდე წლის წინათ, გორის საზოგადოებრივ მეურნეობებში თესლოვანი და კურკოვანი ხეხილი 15 ათას ჰექტარზე ყვაოდა და ყოველწლიურად 130-140 ათასი ტონა ხილი მზადდებოდა.

ატმის სამშობლო ჩინეთია, მაგრამ ჩვენშიაც თავს კარგად გრძნობს. გორულმა ატამმა სახელი მართლაც ძველთაგანვე გაითქვა. შეუდარებელია მკვრივხორციანი სახრავი ჯიშის ატამი: „ხიდისთაური", „თეთრი", „ბერების", „ყვითელი", „წედისური", „ბესტავაშვილი", და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

აღსანიშნავია, რომ მეხილეობა დროის პარალელურად ვითარდებოდა. საითაც კი გაიხედავდით, ახალი ბაღები შენდებოდა. ბოლო წლების პოლიტიკური ქარიშხალი, ქაოსი და გაუკულმართებული მიწის რეფორმა რომ არა, გორის რაიონში დღესაც დიდძალი ხილი უნდა მზადდებოდეს, მაგრამ ბაღების უმრავლესობა აღარ არის.

— არადა, სულ რაღაც ოციოდე წლის წინათ გორელები იმასაც დარდობდნენ, ახალგაშენებული ბაღებიც მალე მოისხამენ და რა გვეშველება, როგორ უნდა მოვკრიფოთო... მექანიზებულ კრეფაზე ოცნებობდნენ.

— რომ იცოდეთ, მართლა იყო ეგ საშიშროება. ზოგიერთი ჭკუამოკლე კი გვიკიჟინებდა კიდეც, ხეხილის ბაღებს აშენებენ და მარცვლეულის ნათესებს ამცირებენო. იმას კი ვერ ანგარიშობდა, რომ ჰექტარი ხილის ბაღიდან მიღებული შემოსავალი 10-15 ჰექტარზე მოყვანილი მარცვლეულის ტოლფასოვანია.

გორულ ხილს სახელი იმანაც გაუთქვა, რომ აქაურ სანერგე მეურნეობებში გამოყვანილი ნერგი საქართველოს თითქმის ყველა რაიონში გაჰქონდათ და მეზობელ რესპუბლიკებშიც საკმაოდ მოსწონდათ, რაც, რა თქმა უნდა, გორის ნიადაგურ-კლიმატური პირობების მადლი იყო.

ბატონმა ნიკო კეცხოველმა ერთ-ერთ მნიშვნელოვან შეკრებაზე თქვა: — მეხილეობის განვითარებისათვის გორის მიწა-წყალს ბადალი არ მოეძებნება, ფრანგული ვაშლის ჯიში — „შამპანური რენეტი", თავის სამშობლოში მკრთალი მოყვითალო ფერისა მწიფდება, გორის ნიადაგურ-კლიმატურმა პირობებმა კი მისი ხარისხი კიდევ უფრო გააუმჯობესა. ნაყოფი ლოყაწითელი დამწიფდა. ამასთან, გემოვნება და არომატი უფრო კარგი გაუხდა. გორში დამწიფებულმა „შამპანურმა რენეტმა" თვითონ ფრანგები გააოცაო...

ბატონ ნიკოს ნათქვამს დავამატებ, რომ გორის მადლიანმა მიწა-წყალმა ვაშლის სხვა ჯიშებიც საკმაოდ შეცვალა. მათი შეხედულება და გემოვნება მოსაწონად გარდაქმნა. ისე, კაცმა რომ თქვას, გორული ხილი მესხეთისას მაინც და მაინც ბევრად არ ჩამორჩება.

— თუ სადმე სამართალია, მეხილეობაზე საუბარი სანერგე მეურნეობიდან უნდა დაგვეწყო. ინტენსიური მეხილეობა სათავეს აქედან იღებს და, მით უმეტეს, სიტყვაც ჩამოვარდა.

— საქართველოში მეხილეობის დარგის მეცნიერულ საფუძველზე დამყარებულ კვლევით სამუშაოებს საძირკველი ჯერ კიდევ 1894 წელს სოხუმში ჩაეყარა, როცა იქ ეთერზეთოვანი და სუბტროპიკული კულტურების საცდელი და მეხილეობის ზონალური სადგურები შეიქმნა. ქართლში კი დარგის მეცნიერული შესწავლა უფრო მოგვიანებით დაიწყო.

ქიწნისის სპეციალიზებულ სანერგე მეურნეობაში, რომელსაც თითქმის სამი ათეული წელი ცხონებული მიხეილ ქობლიანიძე უძღვებოდა, თესლოვანისა და კურკოვანი ხეხილის სანაქებო ნერგები გამოჰყავდათ.

მიწის რეფორმის დამანგრეველმა ხელმა ამ სანერგეში ქვა ქვაზე აღარ დატოვა. ბარბაროსობა ჩაიდინეს, გადახნეს სადედე ნაკვეთები, რაც იგივეა, რომ სახლს საძირკველი გამოაცალო, და ეს გააკეთა იმან, ვისაც გორის მეხილეობის განვითარებაში წვლილის პრეტენზია ჰქონდა. არადა, ამ უგუნურმა ვაიპატრიოტმა თავისი ტრაქტორითა და გუთნით საწინააღმდეგო დაამტკიცა...

ქიწნისში ტრადიცია გრძელდება. მეურნეობის დღევანდელმა მესვეურებმა მეხილეობისადმი ინტერესი არ დაკარგეს და ცდილობენ ნერგის წარმოება კვლავ აააღორძინონ.

გორის მეხილეობის დარგის, და არა მარტო გორის, განვითარებისათვის დიდი შრომა გასწიეს სკრის მეხილეობის საცდელი სადგურის მეცნიერ-მუშაკებმა და საერთოდ მისმა კოლექტივმა. ამჟამად მას სათავეში უდგას მეცნიერებათა დოქტორი, სოფლის მეურნეობის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბატონი გივი ბადრიშვილი. სადგურის განყოფილებები მუშაობდნენ აღმოსავლეთ საქართველოსა და, ძირითადად, ქართლის ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში ხეხილის ბაღების ინტენსიურად გაშენების, აგროტექნიკისა და პერსპექტიული ჯიშების გამოყვანა-გამოვლენის საკითხებზე.

ოდითგან ეს სადგური, როგორც მეცნიერების, ისე პრაქტიკოსი მეხილეების სამჭედლო იყო. აქ იმართებოდა სემინარები და სამეურნეო პრაქტიკული კონფერენციები. აქ მოღვაწეობდნენ სახელგანთქმული მეცნიერები. ვწუხვარ, რომ მათი ჩამოთვლა არ ხერხდება.

დღეს აქაც ყველაფერს თავიდან იწყებენ, რადგან მოსახლეობამ მაინცდამაინც ის ნაკვეთები დაიტაცა, სადაც საცდელი და სასელექციო ნარგაობა იყო განთავსებული. უმოწყალოდ გაანადგურეს თაობათა მიერ ჩვენამდე მოტანილი შეუფასებელი გენოფონდი. ერთი სიტყვით, სკრაში დიდი აგრარული ტრაგედია დატრიალდა. სადგური ნელ-ნელა სულს ითქვამს, რაც იმას ნიშნავს, რომ კიდევაც დაიზრდებიან...

— თქვენ რომ გისმენთ, ისღა დამრჩენია ვიფიქრო, ხალხი ისე გაზარებულა, ლამის ჭიბეებიც მიწით აუვსიათ.

წარმომიდგენია, რა მდგომარეობაში იქნებიან მეხილეობის ტრადიციული მეურნეობები: ქიწნისის, ვარიანის, შავშვების, კარალეთის, ტუზიავის, მეჯვრისხევისა და სხვა სოფლების სანაქებო ბაღები, სადაც ყოველწლიურად 4, 5, 6, 7 და 10 ათას ტონა ხილს ამზადებდნენ. არ მინდა დავიჯერო, რომ ქვეყანამ და ამ ერთ-ერთმა ძირძველმა დარგმა, რომელიც ქართლელი კაცის ძირითადი შემოსავლის წყაროა, საბედისწეროდ წაიბორძიკეს, ხომ არ აზვიადებთ?

— ნეტავ მართლა ვაზვიადებდე! ვაი რომ, რაც ვთქვი, მწარე სიმართლეა. არადა, მეხილეობა აქ ისეთ დონეზე იყო, ახალ ხილს დახლზე ძველი ხვდებოდა. გადამამუშავებელ მრეწველობას ხომ, რომ იტყვიან, თავზე საყრელად ჰქონდა და ხილის მიღებაზე ზოგჯერ უარს აცხადებდა... მოკლედ ხილი სად წაგვეღო, აღარ ვიცოდით. რაიონის 50-ზე მეტი დამამზადებელი პუნქტი მიღებას ვერ აუდიოდა. რესპუბლიკურზე რომ აღარაფერი ვთქვათ, საკავშირო ფონდში 35-40 ათასი ტონა ხილი იგზავნებოდა. ქართული ხილი რუსეთის მნიშვნელოვან ბაზრებს ფლობდა. იქიდან კი სანაცვლოდ დიდი რაოდენობით შემოგვქონდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სათადარიგო ნაწილები, საწვავი, შხამქიმიკატები, ხე-ტყე და თითქმის ყველაფერი, რაც კვლავწარმოებას ესაჭიროებოდა.

ერთი სიტყვით, ზარალი მართლაც აუნაზღაურებელია, რაც მრავალმა ფაქტორმა განაპირობა. ყველაზე მომაკვდინებელი კი, როგორც ვთქვი, ეგრეთ წოდებული მიწის პრივატიზაცია იყო, რომელსაც ჩვენდა საუბედუროდ დილეტანტები ახორციელებდნენ, თანაც ისეთები, ფურს ხარისაგან რომ ვერ გაარჩევენ და შვრიას ქერისაგან. სოფელს კი მხოლოდ თბილისიდან იცნობენ და მისი ანა-ბანაც კი არ იციან.

ამას რომ ვამბობ, ჩემი კოლეგა, ბატონი პაატა კოღუაშვილი და მისი მფარველი თანამოაზრენი გამიწყრებიან, მაგრამ სხვაგვარად არ ძალმიძს... ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად.

აბა, ვიანგარიშოთ, ამ სავალალო პრივატიზაციის გამო, საქართველოში რამდენი ტრილიონის ქონება განადგურდა. მეხსიერებასღა შემორჩა ხეხილის თვალუწვდენელი ფართობები, ზვრები, მეცხოველეობის ფერმები, მეფრინველეობის ფაბრიკები... რომელი ერთი ჩამოვთვალო, და ეს ყველაფერი, წელან რომ ვახსენე, იმ ვაჟბატონებიდან მოდის.

(დასასრული მე-2 გვ.)

„საქართველო არჩევნებიდან გამოვა უფრო განმტკიცებული, გამთლიანებული და განწმენდილი"

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის – სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა ადგილობრივი მმართველობის, უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა რესპუბლიკურ თათბირზე 1995 წლის 1 ოქტომბერს

(დასასრული)

მართლმსაჯულების მიერ არჩევნებთან დაკავშირებული სადავო საკითხების დროული გარჩევა უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. უნდა გამოვხატო დიდი კმაყოფილება იმის გამო, რომ უმაღლესმა სასამართლომ საკმაოდ დროულად მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები, ადგილობრივ სასამართლოებს დროულად მისცა ისეთი სადავო საკითხების გადაწყვეტისათვის აუცილებელი ახსნა-განმარტებანი, რისი კულტურაც ჩვენს სასამართლოებს ჯერჯერობით არა აქვთ, რადგან წინათ მათ არ უხდებოდათ ასეთი სადავო საკითხების გარჩევა და გადაწყვეტილებების მიღება. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება იმ რეკომენდაციათა შესრულება, რომლებიც უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა შეიმუშავა. იუსტიციის სამინისტრომაც ახლავე, უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა, თითოეულ მოსამართლეს დავეხმაროთ გაერკვნენ ამ რთულ მდგომარეობაში და აღიჭურვონ შესაბამისი ცოდნით, რათა სადავო საკითხებისა და განცხადებების გამო, მიიღონ სწორი და გამართული გადაწყვეტილებები.

მეორეხარისხოვანი საკითხი არ გახლავთ ის, რომ რაიონებში, ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში აუცილებლად უნდა სუფევდეს ისეთი ატმოსფერო, რომელიც არ იქნება დაკავშირებული რაიმე განსაკუთრებულ დაძაბულობასთან, რათა ადამიანმა შეძლოს იფიქროს, იაზროვნოს და განსაზღვროს თავისი არჩევანი. მე გამოვეცი სპეციალური ბრძანებულება შემმოწმებლის შესახებ, ამ პროცესის რეგულირებისათვის, ზედმეტ კონტროლს თავი რომ დავაღწიოთ. გთხოვთ ყველას, რომ ახლა, განსაკუთრებით ამ ეტაპზე, შემოწმების პროცესი იყოს მართვადი, და აქ მთელი პასუხისმგებლობა უნდა იკისრონ ქალაქების მერებმა, გამგებლებმა. თქვენი მეშვეობით, უნდა ხდებოდეს კოორდინირება, როცა ეს გარდაუვალი და აუცილებელია.

გთხოვთ ასევე ჩათვალოთ, რომ არჩევნების მზადებასთან დაკავშირებული ინფორმაცია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა. ამიტომ თქვენი კონტაქტი ხელისუფლებასთან, მის სხვადასხვა შტოებთან უნდა იყოს მუდმივი და, თუ სადმე რაიმე ისეთი ხდება, რაც თქვენს გარკვეულ შეშფოთებას გამოიწვევს, ეს უნდა იცოდეს ცენტრალურმა ხელისუფლებამ.

შემდეგი საკითხი, რასაც მინდა მივაპყრო თქვენი ყურადღება, ეს არის მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის შემოტანა. 2 ოქტომბრიდან, როგორც მოგეხსენებათ, ლარი გახდება ერთადერთი საგადამხდელო საშუალება, საარჩევნო კამპანიის ციებ-ცხელების მიუხედავად, ჩვენ წავედით ეროვნული ვალუტის შემოღებაზე, არ გადავდეთ ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება. ეს საშვილიშვილო, მე ასე მიმაჩნია, საერთო საქმეა, და ამით ხაზს ვუსვამთ იმას, რომ არჩევნებისათვის მზადება უნდა აღინიშნოს საქმით, სახელმწიფოზე ზრუნვით, ეკონომიკის გამოცოცხლებით, ქვეყნის ფინანსების განმტკიცებით, საბანკო სისტემის განვითარებით და ა. შ. ძალაშია ის, რაც ითქვა. პირველი ნოემბრიდან ხელფასები 50-60 პროცენტით გაიზრდება. თუმცა ეს იოლი საქმე არ არის, მაგრამ ჩვენ მაინც მივდივართ ამაზე. ხელმოწერილია ბრძანებულება წინა წლებში მოქალაქეთა ანაბრების ინდექსაციის პრობლემათა შესწავლისა და გადაწყვეტისათვის სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ. კომისიას სახელმწიფოს მეთაური უხელმძღვანელებს. მინდა ამასთან დაკავშირებით არ შეიქმნას ისეთი ილუზია, თითქოს ჩვენ ხვალვე შეგვიძლია ვილაპარაკოთ ინდექსირებაზე. მაგრამ სამწლიანი თუ ხუთწლიანი პროგრამა რომ ჩამოვაყალიბოთ, ამას მოსახლეობას ვპირდებით. რა ფორმით მოხდება ინდექსირება და ანაზღაურება, იმ უსამართლობის გამოსწორება, რომელიც ჩვენი არაორდინარული და რთული ცხოვრების პირობებთან არის დაკავშირებული, ამაზე სწორედ ეს კომისია იმუშავებს. მოქალაქეებმა უნდა ირწმუნონ, რომ სახელმწიფო აკეთებს იმის მაქსიმუმს, რაც შესაძლებელია ამ პირობებში, რათა აუნაზღაურდეთ მათ ზარალი, მატერიალური და თუნდაც მორალური და ფსიქოლოგიური ტრავმა.

კიდევ ერთი საკითხი. რამდენჯერმე გამოვაცხადე და დღესაც მინდა შეგახსენოთ, რომ ხელი მოვაწერე განკარგულებას თბილისობის ტრადიციის აღდგენის შესახებ. გთხოვთ, ამას ძალიან სერიოზულად მოეკიდოთ. კვლავ ვიმეორებ, რომ იმ მოღვაწეთა გადაწყვეტილება, რომლებმაც თავის დროზე უარი თქვეს საქართველოში დამკვიდრებულ ამ კარგ ტრადიციაზე, უფრო მეტად პოპულიზმთან, იაფფასიან დემაგოგიასთან იყო დაკავშირებული, და არა ცხოვრებით ნაკარნახევი. თბილისობა უნდა იყოს არა იმდენად ზარ-ზეიმი და ცეკვათამაში, რამდენადაც დიდი ბაზრობა, როგორის ორგანიზაციასა და მოწყობასაც შევძლებთ ყველა მოქალაქის ინტერესების გათვალისწინებით. გთხოვთ რწმუნებულებს, გამგებლებს, მერებს შეისწავლოთ ყველა სოფლის, დაბისა თუ ქალაქის რეალური შესაძლებლობანი, რა არის საჭირო დედაქალაქში შემხვედრი ვაჭრობის მოწყობისათვის, რა შეუძლია დედაქალაქს. ვთხოვ რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, ავტოტრანსპორტის დეპარტამენტს და ყველა ორგანიზაციის, მინისტრთა კაბინეტის შესაბამის ხელმძღვანელებს მიიღონ სპეციალური ზომები იმ მოქალაქეთა გადმოსაყვანად, რომელთაც სურთ შემოიტანონ პროდუქტი დედაქალაქში და აქედან თავიანთი საჭიროებისამებრ წაიღონ პროდუქცია. გთხოვთ, რომ ეს იყოს შეღავათიანი საბაზრო ფასები — ეს დიდად არ დააზარალებს არც რკინიგზას და არც ტრანსპორტის დეპარტამენტს. ან იქნებ ეს უფასოდაც კი მოხერხდეს ადგილობრივი ბიუჯეტების შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ეს უნდა იყოს ტრანსპორტის მუშაკთა წვლილი ამ შესანიშნავი ტრადიციის აღდგენაში. როგორც გითხარით, გამოიყენეთ ყველა საშუალება და ადგილობრივი შესაძლებლობანი.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მოითხოვს თქვენს განსაკუთრებულ ყურადღებას და სერიოზულ განმარტებას მოსახლეობისათვის. ეს არის სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება ადგილობრივ თვითმმართველობათა შესახებ. თქვენ იცით, რომ აქამდე ჩვენ მივდიოდით, ასე ვთქვათ, ექსპერიმენტების გზით, საკმაოდ სერიოზული უფლებებით აღვჭურვეთ მთელი რიგი რაიონები, ქალაქები, საერთოდ, გამგებლები, მერები და ა. შ. მან ძალიან დიდი შედეგი მოგვცა.. მე ხშირად აღმინიშნავს, როგორ ამოისუნთქა თბილისმა, ქუთაისმა — მართლაც წარუშლელი შთაბეჭდილებებით დავბრუნდი ამ ქალაქიდან, რამდენი რამ გაკეთდა აჭარაში, რამდენი რამ კეთდება სხვაგან. მე მივესალმები აქ ბატონ გია არსენიშვილის გამოსვლას, რომელმაც სულ რაღაც ერთ თვეში უკვე შენიშნა, რომ კახეთში სიცოცხლე დაიწყო, გაცოცხლდა ის უზარმაზარი და უნაყოფიერესი მხარე, სადაც შესანიშნავი ხალხი სახლობს, დაიწყო მოძრაობა შენებისაკენ და ა. შ. ყველაფერი ეს ხდება იმ ბაზაზე, თქვენ რომ უფლებებით ხართ აღჭურვილი.

მაგრამ ჩვენ, თქვენთან ერთად, იმაზე მეტი უფლება გვაქვს, ვიდრე გვჭირდება, ვიდრე შეგვიძლია ამას თავი გავართვათ. ასე არ შეიძლება გაგრძელდეს, ამიტომაც ხელი მოვაწერე ბრძანებულებას (რომელიც ჩემს აპარატსა და მინისტრთა კაბინეტში დამუშავდა) იმის შესახებ, რომ ეს უფლებები გადანაწილდეს. უნდა გადანაწილდეს სახელმწიფოს მეთაურის, მინისტრთა კაბინეტის, ქალაქებისა და რაიონების, შემდეგ აგრეთვე დაბების ხელმძღვანელთა უფლებები. გთხოვთ, მოიწვიოთ რესპუბლიკიდან, ცენტრიდან მაღალკვალიფიციური ხალხი, ვისაც შეუძლიათ მოგცეთ სათანადო ახსნა-განმარტება. მე ვთხოვ რეგიონალურ სამსახურს, მინისტრთა კაბინეტის შესაბამის ხელმძღვანელებსა და სამსახურებს, რომ დაეხმარონ მათ ამ მეცნიერების ათვისებაში, რომ მათ გამოიყენონ მინიჭებული უფლება, და გაიმიჯნოს საკუთრების ის ფორმები, რომლებიც თქვენს განკარგულებაში იქნება ადგილებზე. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ახლა მინდა შედარებით მოკლედ შევეხო იმ საკითხს, რომელმაც შეაშფოთა ჩვენი ქვეყანა და სულით ხორცამდე შეძრა თითოეული ჩვენი მოქალაქე. ლაპარაკია იმ ტერორისტულ აქტებსა და მძიმე დანაშაულობებზე, რომლებმაც მოსვენება დაუკარგა ხალხს ამ ბოლო წლინახევრის განმავლობაში. უნდა გითხრათ, რომ მე თითქმის ყველაფერი ვიცოდი, ზოგი რამ, რასაც სამართალდამცავი ორგანოები მაწვდიან, ასე ვთქვათ, კიდეც წავიკითხე. მაგრამ, როცა ყოველივე ამას, როგორც აქ სწორად თქვეს ბატონმა გ. ფანჯიკიძემ და სხვებმა, ერთად თავმოყრილს მოისმენ აუდიტორიის თანდასწრებით, მართლაცდა შეგზარავს კაცს. ნუთუ შეიძლება ჩვენს რიგებში, ჩვენთან იყვნენ ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ ხელი აღმართონ ქვეყნის წინააღმდეგ, მოქალაქეების წინააღმდეგ, პრაქტიკულად, ჩვენი ხვალინდელი დღის წინააღმდეგ. ესენი არიან არა შემთხვევითი ადამიანები, არამედ ხალხი, ხელმძღვანელ ეშელონებში ჩვენთან ერთად რომ მოღვაწეობდნენ, ბევრი მათგანი ჩემი მონაწილეობით, ჩვენი მონაწილეობით არის დანიშნული. გარკვეულ ეტაპებზე ბრძოლაც კი გვიხდებოდა იმისათვის, რომ მათ თანამდებობა შეენარჩუნებინათ. სამწუხაროდ, ალბათ, უნდა შევეგუოთ იმ აზრსაც, რომ, როდესაც ქვეყანაში დიდი გარდატეხა და ძვრები იწყება, მით უმეტეს ისეთ ქვეყანაში, რომელმაც ოთხი ომი, მათ შორის ორი სამოქალაქო ომი გადაიტანა და ყველაფერი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული, მზად უნდა ვყოფილიყავით იმისათვის, რომ სამოქალაქო ომების დამთავრების შემდეგ ასეთ ექსცესებთან და ასეთ გამოვლინებებთანაც გვექნებოდა საქმე. აქვე მინდა ვთქვა, ვეთანხმები ბატონ თემურ შაშიაშვილს, რომელმაც ძალიან კარგად თქვა: ახლა ნურავინ ნუ დაიწყებს გულზე ხელის ბრაგუნს, ნურავინ ნუ დაიწყებს ნიშნის მოგებას, ნურავინ ნუ წამოგვაყვედრის, ჩვენ ხომ გეუბნებოდით, ჩვენ ხომ დავაყენეთ ეს საკითხი პარლამენტის სხდომაზე, ჩვენ ხომ მოვითხოვეთ გიორგაძის გადაყენება და სხვა (მე სპეციალურად ჩავიწერე მისი ეს სიტყვები). მინდა შევახსენო ჩემს მომავალ ოპონენტებს, რომ ასევე მწვავედ იდგა შოთა კვირაიას გადაყენების საკითხიც.

ასევე მწვავედ მოითხოვდნენ ბატონ ჯამლეტ ბაბილაშვილის გადაყენებას და მას ერთი-ორჯერ საშუალებაც არ მიეცა ნორმალურად გამოსულიყო პარლამენტში. ასევე მწვავედ მოითხოვდნენ იმ ადამიანების პასუხისგებას, რომლებიც დღეს მწყობრში არიან და იბრძვიან იმ საშინელ დანაშაულობათა წინააღმდეგ და ამხილეს კიდეც ეს დანაშაულობანი. ამიტომ ასე იოლი არ არის, მით უმეტეს, ხელისუფლების ხელმძღვანელის მიერ გადაწყვეტილების მიღება. თუ არ არის ფაქტები, თუ არ არის საფუძველი, ასეთმა გადაწყვეტილებამ შეიძლება ახალი უბედურება მოუტანოს ქვეყანას. ეს გაკვეთილი უნდა იყოს ყველასათვის. მე ვეთანხმები იმ შენიშვნებს, რომ ალბათ მეტი ყურადღებაა საჭირო ხალხის შერჩევისას და კარგად უნდა ვიცოდეთ, ვის ვენდობით და ვის — არა, ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე.

ისიც მინდა ვთქვა, რომ მოწმე ვარ იმ მართლაც თავგანწირული მუშაობისა და მოქმედებისა, ამ დღეებში რომ დაგვანახვეს შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლექტივმა, მინისტრმა ბატონმა შოთა კვირაიამ, პროკურატურის ხელმძღვანელობამ, ბატონმა ჯამლეტ ბაბილაშვილმა. ისინი უკვე დაასახელეს, ამიტომ მე კიდევ ჩამოვთვლი ზოგიერთ მათგანს, რადგან ამის თქმა და მადლიერების გრძნობის გამოხატვა აუცილებელია და ყველა ადამიანს სჭირდება. თუ თავგანწირული კაცი, თავგანწირვით შრომობს და იბრძვის, მას სჭირდება ტკბილი სიტყვა, სჭირდება რწმენა, რომ მას ხედავენ, აფასებენ და მომავალი თაობებიც დაუფასებენ. ეს ყველას სჭირდება, დიდი იქნება საქმე, თუ პატარა, და ამ მხრივ ჩვენ ვალში არ უნდა დავრჩეთ ამ ადამიანების წინაშე. ის, რაც ბატონმა შოთა კვირაიამ გააკეთა ამ მოკლე დროში, ფიზიკურად შეუძლებელი იყო. ამას დიდი გამბედაობა და დიდი პროფესიონალიზმი სჭირდებოდა. ბატონ ჯამლეტ ბაბილაშვილზე მე უკვე ვილაპარაკე. ეს მართლაც თავგანწირვამდე მისული თავდადება, პროფესიონალიზმი და შეუპოვრობაა, ეს არის უნარი, ფეხზე დააყენო კოლექტივი და სრულად გამოიყენო მისი შესაძლებლობანი. ზოგიერთისთვის ყური რომ დაგვეგდო და კვირაია, ბაბილაშვილი გადაგვეყენებინა, აი, მაშინ ნახავდით, რა მოგვივიდოდა და რა დაემართებოდა ქვეყანას — ამიტომ არის საჭირო დიდი სიფრთხილე და დიდი წინდახედულება. ზოგიერთი, ასე ვთქვათ, სერიოზული ტრავმის შემდეგ, და ეს სავსებით გასაგებია, ფეხზე დგება უშიშროების სამსახურის კოლექტივის ჯანსაღი ნაწილი. დანაშაული ჯერ კიდევ არ იყო გახსნილი, როცა ჩვენ იქ მივედით და შევხვდით ამ კოლექტივს. მე მჯერა, რომ იქ არის ისეთი ნაწილი, რომელიც, ალბათ, ხერხემალი იქნება მომავალში ამ კოლექტივის ფეხზე დაყენებისა.

ბევრი მათგანი უკვე ჩართულია ამ სერიოზულ საქმიანობასა და მუშაობაში. თუ როგორ გაართმევს თავს ეს სამსახური დაკისრებულ სახელმწიფოებრივ მოვალეობას, დამოკიდებული იქნება მის ქვეგანაყოფებზე, სპეციალური და განსაკუთრებული დანიშნულების ბრიგადებზე. უნდა გითხრათ, რომ ამ განსაკუთრებული დანიშნულების ბრიგადასა და ნაწილებს, მართლაცდა, დიდი შესაძლებლობანი აქვთ. ისიც უნდა ვთქვა, რომ თავის სიმაღლეზე აღმოჩნდნენ თავდაცვის სამინისტრო, ჩვენი სამხედრო ქვეგანაყოფები, ჩვენი სამხედროები, თავდაცვის მინისტრი. მინდა შეგახსენოთ, რამდენჯერმე გაისმა მოთხოვნა: გადააყენეთ ნადიბაიძე, მოიცილეთ ნადიბაიძე. და აი, ამ კრიზისის დროს ნადიბაიძე, მისი მოადგილეები, რომლებიც აქ სხედან, შესაბამისი ნაწილების მეთაურები — ყველა თავის სიმაღლეზე იდგა. ყველაფერი ეს უნდა გავითვალისწინოთ და მადლობა ვუთხრათ ამ ხალხს სიფხიზლისა და თავდადებისათვის. ასევე არ შემიძლია არ გავიმეორო აქ ბატონი კახა თარგამაძისა და მისი ქვეგანაყოფის მიმართ გამოთქმული შეფასება, არ აღვნიშნო ბატონი მურღულიას თანამშრომლები უშანგი მელაძე, რეზო ფოჩხუა, სოსო ალავიძე, პროკურატურიდან—გენერალური პროკურორის მოადგილე რევაზ ყიფიანი, რესპუბლიკური პროკურატურის საგამოძიებო აპარატის მნიშვნელოვან და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლები ბერიაშვილი, აბულაშვილი, კვარაცხელია, მიქაძე, სამეგრელოს სამხარეო პროკურორის მოადგილე კუხალაშვილი და სხვები. არ შემიძლია ამასთანავე არ ვახსენო ანზორ ბალუაშვილი, რომელმაც, როგორც იტყვიან, შიშველი ხელებით, თავის ბიჭებთან ერთად სასწაულებრივი მუშაობა შეასრულა იმისათვის, რომ დასასრულამდე მიეყვანა ის უზარმაზარი საქმეები, რომლებსაც ადრე თუ გვიან მზის სინათლეზე გამოიტანენ და იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებები. მე ვთხოვ შესაბამის უწყებათა ხელმძღვანელებს, რომ თანამშრომლები, რომლებიც დავასახელე, ისინი, ვინც აქტიურად მონაწილეობს ამ საშიშ დანაშაულობათა გახსნაში და გვეხმარება წესრიგის დამყარებაში, წესრიგის აღდგენაში, წარმოადგინონ დასაჯილდოებლად მთავრობისა და სხვა სახის ჯილდოებზე.

მაინც, რა არის მთავარი ჩემს ნათქვამში, გარდა იმისა, რომ ეს კიდევ ერთი მწარე გაკვეთილია, ავად თუ კარგად, კიდევ ერთი გამოცდაც ჩავაბარეთ. მთავარი მაინც ის არის, რომ დანაშაულობებს ფარდა აეხადა. მოსახლეობაში განმტკიცდება რწმენა, რომ სახელმწიფოს შეუძლია თავისი მოქალაქის დაცვა, რომ დანაშაული არ დარჩება დაუსჯელი, ვისთანაც უნდა იყოს დაკავშირებული. უფრო მაღლა სადღა უნდა წავიდეთ? უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი თვითონ იყო ორგანიზატორი, არც მას არ შერჩა — აღმოჩნდნენ ძალები, სტრუქტურები, რომლებმაც ამხილეს იგი. ამის შეგრძნება, შეგნება და გათვალისწინება ცხოვრებასა და მუშაობაში, ალბათ, ის უმთავრესი სტიმულია, რომელმაც ქვეყანა სწორ გზაზე უნდა დააყენოს, ჩვენ უნდა ჩავუნერგოთ ყველა ადამიანს, რომ იგი თავისი ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქეა და მის უფლებებს ვერავინ შელახავს. ვფიქრობ, ჩვენი ხალხი ხედავს და გრძნობს, რომ მთელი მოსახლეობა, ჩვენი მოქალაქეები, მეწარმეები, ბანკირები და სხვები თავისუფლდებიან დამნაშავეების ბორკილებისაგან — ბორკილებში იჯდა საქართველო, ბორკილებით იყვნენ ხელ-ფეხშეკრულნი ის მეწარმეები, რომლებსაც რაღაცის გაკეთება უნდათ ქვეყნისათვის. მე ვიცი, რა ტანჯვა-წამება, რა ჯოჯოხეთი იყო ყოველივე ეს, ზოგიერთი რამ უკვე ითქვა, მაგრამ ათჯერ, ასჯერ მეტი არ თქმულა, და ყველაფერს მალე აეხდება ფარდა, ყველაფერი ცნობილი გახდება საზოგადოებისათვის.

ეს გაკვეთილი უნდა იყოს უშიშროების სამსახურისათვის, ყველასათვის, ვინც იქ მუშაობს და ვინც ახლა მოდის. რა უნდოდა იმ საქმეებს გიორგაძის ცეცხლგამძლე ყუთებში? რატომ ინახებოდა ეს დოკუმენტები სადღაც, რომელიღაც ქვეგანაყოფში სამ სეიფში? გადანახული ჰქონდა ისეთი სიები და დოკუმენტები, რომლებიც სასტიკი საიდუმლოა. მე არ მაქვს ახლა უფლება მოვუწოდო ვინმეს, რომ გამოიტანოს ეს დღის სინათლეზე, მაგრამ, ვინც ჩვენს ქვეყანაში ბევრს ლაყბობს, იმ სიებში თავისთავს ამოიკითხავს. ყოველივე ეს უნდოდათ შანტაჟირებისათვის (ბერიაც კი არ აკეთებდა ასეთ რამეს) — ვინ ვისთან იყო თავის დროზე კავშირში, ზოგი სხვა ქვეყნის, ზოგიც ამ ქვეყნის. ეს უწესრიგობა დაიწყო სწორედ ამ სამსახურის ხელმძღვანელობიდან. მე ძალიან დიდ პატივს ვცემ ბატონ ავთანდილ იოსელიანს, მაგრამ არც ერთ თქვენგანს არ ვამართლებ: საქმე რაღაც სიგნალებში არ არის, თქვენგან მე ათ სიგნალს მივიღებ დღეში, მაგრამ მე ვერ გავხსნი საქმეს, თქვენ უნდა შექმნათ ისეთი ატმოსფერო, რომ ამის გაკეთება შეუძლებელი იყოს. თუ თქვენ ამას არ გააკეთებთ, მაშინ ასეთი სამსახური საჭირო არ არის... ან მოადგილეები სად იყავით, ან კოლეგია სად იყო. თქვენ არ იყავით პროტესტის კოლექტიურ წერილს რომ მწერდით (მგონი, იოსელიანს არ მოუწერია ხელი, სხვა ყველა, თუ არ ვცდები, 1500 კაცი აწერდა ხელს)? პატარა რაღაცა წამოსცდა, მცირე შენიშვნა და 1500 კაცი ფეხზე დადგა — როგორ გაგვიმეტეთო, თუმცა ჩვენ გადატრიალებაზე არ წავალთო, თქვეს (დაახლოებით ასეთი იყო შინაარსი), გულში კი ჰქონდათ. მოსკოვში მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში წამოსცდა გიორგაძეს: რომ მოენდომებინა, თურმე 30 თუ 40 წუთში აიღებდა ხელში ძალაუფლებას და მოახდენდა გადატრიალებას. ესე იგი, უფიქრია ამაზე. აი, ეს უნდა [illegible] ყველა სამსახურმა, განსაკუთრებით იმ სამსახურებში, რომლებსაც იარაღთან აქვთ საქმე და დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული ხალხისა და ხელისუფლების მიერ.

ახლა წაქცეული ვაცის სინდრომი არ უნდა [illegible], ყველამ უნდა იკისროს პასუხისმგებლობა სახელმწიფოს მეთაურით დაწყებული და, ალბათ, [illegible] მუშაკით დამთავრებული. ყველამ უნდა ვიკისროთ და ყველამ უნდა გავიზიაროთ. მე მჯერა „ალფასა" და „ომეგას" იმ ბიჭების გულწრფელობა, რომლებიც შეწუხებული და შეძრწუნებული არიან (იქ ხომ 80-90 პროცენტი პატიოსანი ბიჭებია), მაგრამ ეს გაკვეთილი უნდა იყოს მათთვის და თავიანთი გმირობით, თავდადებით და თავგანწირვით უნდა გამოისყიდონ დანაშაული, რომელიც მათმა მეგობრებმა ჩაიდინეს.

მხედრიონთან და მაშველთა კორპუსთან დაკავშირებით განკარგულებას ხელს მოვაწერ, თუ თქვენს მხარდაჭერას მივიღებ. მისი მიღება იოლი არ არის... ეს ბიჭები ბრძოლასა და სისხლისღვრაში იყვნენ... ძნელია, მაგრამ, ალბათ, ადრე უნდა მიგვეღო ზოგიერთი გადაწყვეტილება, ადრე უნდა მომხდარიყო ეს, უფრო ადრე, ვიდრე რუსთავში მოხდებოდა დარბევა, უფრო ადრე, ვიდრე ჩვენ გამოვიღვიძებდით და კახეთში შევიდოდით წესრიგის დასამყარებლად, უფრო ადრე, ვიდრე სამტრედიასა და სხვა კუთხეებს მივხედავდით. მათგან ზოგიერთნი მონაწილეობდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში, ბევრი მათგანის თავდადება დამსახურებულად აღინიშნა სახელმწიფო ჯილდოებით. ხალხი და სახელმწიფო არასოდეს დაივიწყებენ, მადლიერებით გაიხსენებენ მხედრიონელებს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლას. ყველაფერი გაკეთდება იმათ დასახმარებლად, ვინც ამ ბრძოლაში დასახიჩრდა, აგრეთვე სტიქიური უბედურების დროს დაიღუპა...

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მაშველთა კორპუსს საეჭვო რეპუტაციის მქონე პირებიც მიეტმასნენ, რომლებმაც არა მარტო სახე უცვალეს ამ გაერთიანებას, არამედ შესაბამისი მიზნებიც დაუსახეს როგორც კომპეტენტურმა ორგანოებმა დაადგინეს, საბოლოოდ ჩამოყალიბდა მაშველთა კორპუსი — კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელთა თავშესაფარი. მაშველთა კორპუსის ბევრი წევრი და ხელმძღვანელი, მათი მონაწილეობით თუ მფარველობით შექმნილ სხვადასხვა კლანური და მაფიოზური ინსტიტუტების მეშვეობით, იარაღის, ძალადობისა და შანტაჟის გზით კანონსაწინააღმდეგო ქმედებას სჩადიოდა. ამ კორპუსის არაერთი წარმომადგენელი მხილებულია სხვადასხვა სახის ათობით და ასობით მძიმე დანაშაულში. უკვე ითქვა, რომ მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი, რომელიც ამჟამად დაპატიმრებულია, მხილებულია ტერორისტული აქტების დაგეგმვასა და შესრულებაში. ყოველივე ეს აფერხებს რესპუბლიკაში მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლას, ხელს უწყობს დესტრუქციული ძალების ანტისახელმწიფოებრივ და ანტისაზოგადოებრივ მოქმედებას. აქედან გამომდინარე უნდა გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის მაშველთა კორპუსის, როგორც სახელმწიფო მმართველობის ორგანოს სტატუსი და მისი შესაბამისი მართვის რესპუბლიკური ორგანოები, მაშველთა კორპუსის პრეზიდიუმი, თავმჯდომარისა და მოადგილეების თანამდებობ ცენტრალური აპარატი. გაუქმდეს აღმასრულებელი ხელისუფლებ ყველა აქტი, რომლებიც დაკავშირებულია მაშველთა კორპუსის მართვის ცენტრალური ორგანოებისა და თანამდებობის პირთა უფლებამოსილებასთან... ის ქონება, შენობები და სხვა, რაც მათ ბალანსზე ირიცხება, გადაეცეს ადგილობრივ თვითმმართველობებს, რაიონებს, ქალაქებს და ა. შ.

და კიდევ ერთი საკითხი. თავს ნურავინ ნუ დაიმშვიდებს, ამ დანაშაულობათა ჯაჭვის რამდენიმე რგოლი, ასე ვთქვათ, მოირღვა, მაგრამ ბევრი რამ კვლავ გასარკვევია, ბევრი რამ გამოსაძიებელია, ბევრ რამეს ფარდა უნდა აეხადოს, იმას, რაც ამ წლების განმავლობაში ხდებოდა, მათ შორის იმ უბედურებას, სხვადასხვა რაიონში რომ დატრიალდა. იმედი მაქვს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროება, პროკურატურა ადგილობრივი ორგანოების, გამგებლების, მერების, რწმუნებულებისა და სხვათა დახმარებით ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ და ქვეყანა წელში გაიმართება. გასახსნელია გია ყარყარაშვილზე თავდასხმისა და პაატა დათუაშვილის მკვლელობის ფაქტი, გასახსნელია თავდაცვის მინისტრის მოადგილის ნ. კეკელიძის მკვლელობა, გასახსნელია ქალაქის პროკურორის ბატონ მ. ქურდაძის მკვლელობა და სხვა მრავალი. როგორც ვიცი, თქვენ გაქვთ გარკვეული მონაცემები, მაგრამ ვერ მოისვენებთ და ვერ დაიძინებთ მანამ (არც გაქვთ ამის უფლება); სანამ ყოველივე ამას, ასე ვთქვათ, ფარდა არ აეხდება. მე აღარ ვლაპარაკობ თვითმფრინავის, მანქანების აფეთქებისა და ათობით სხვა მცდელობაზე, რომლებიც მიმართული იყო, როგორც ტერორისტული აქტი, გარკვეულ თანამდებობის პირთა წინააღმდეგ შურისძიებისა თუ სხვა ანგარებითი მიზნით. და, რაც მთავარია, ბატონი შოთა კვირაია და ბატონი ჯამლეტ ბაბილაშვილი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გიორგაძე და მისი თანამზრახველები, რომლებიც ახლა მოსკოვში იმყოფებიან, ჩამობრძანდნენ და წარდგნენ თავიანთი ხალხის წინაშე, როგორც სახელმწიფო დამნაშავეები, როგორც ტერორისტები. ამავე დროს, არც ამას დაგიმალავთ, მე საჭიროდ ჩავთვალე მიმეწოდებინა შესაბამისი ინფორმაცია რუსეთის ხელმძღვანელობისათვის, კერძოდ, სათანადო სტრუქტურების ხელმძღვანელობისათვის და ვთხოვე მათ დახმარება. ჩვენ არავითარი, ასე ვთქვათ, ეჭვის სინდრომი არ გვაწუხებს, მაგრამ, თუ ხალხი არ ჩამოვიყვანეთ და, თუ ამაში რუსეთის შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელები ვერ დაგვეხმარნენ, მაშინ ბევრი რამ დაიმალება, ხალხში გაჩნდება ეჭვიც და უნდობლობაც, რაც არცთუ ისე უსაფუძვლო იქნება. ამიტომაც რუსეთ-საქართველოს სწორ გზაზე გამოსული ურთიერთობის ინტერესებისათვის ის ჩვენი მეგობრები, რომელთაც მივმართეთ, ვალდებული არიან კეთილსინდისიერად და პატიოსნად მოიხადონ თავიანთი ვალი ამ ორი ქვეყნის წინაშე. დარწმუნებული ვარ, აქ არ არის ლაპარაკი არავითარ შურისძიებაზე. გამოძიება ჩატარდება სამართლიანად და ობიექტურად. როგორც იტყვიან, კლასიკურად. არ უნდა დაირღვეს არავის უფლება, არც დაზარალებულის და არც იმ ადამიანის, რომელმაც ეს ბოროტება ჩაიდინა...

მინდა მადლობა გითხრათ იმ განწყობისათვის, რომელიც დღეს ა დარბაზში სუფევს. აქ სხედან პარლამენტარებიც, ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კამათში. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი განწყობილება — საქმიანი და სერიოზული, პასუხისმგებლობის განწყობილება მალე დამკვიდრდება მთელ ქვეყანაში. მჯერა ისიც, რომ არჩევნებს მაღალ დონეზე ჩავატარებთ და საქართველო არჩევნებიდან გამოვა უფრო განმტკიცებული, გამთლიანებული და განწმენდილი.

(გამოსვლა იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით).

საქინფორმი.

აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი

საკუთარი სახლებიდან განდევნილი ხალხის მიმართ უნდა აღდგეს სამართლიანობა

გაეროს პოზიცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ ურყევია

3 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის საგანგებო დესპანის მოადგილე ივლიუ ბოტა.

სტუმარმა საუბრისას აღნიშნა, რომ გაეროს პოზიცია აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით, როგორც ყოველთვის, ემთხვევა საქართველოს პოზიციას. „საქართველოს დიდი მხარდაჭერა აქვს, განსაკუთრებით, დასავლეთ ევროპის ქვეყნების სახით" — განაცხადა ივლიუ ბოტამ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ძალისხმევას არ დაიშურებს, რათა გააქტიურდეს გაეროს როლი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაში.

„შეხვედრისას ითქვა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება და ლტოლვილთა დაბრუნება ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესებია, საკუთარი სახლებიდან განდევნილი ხალხის მიმართ უნდა აღდგეს სამართლიანობა.

დასასრულ, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო კვლავ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მომხრეა."

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა დაცვა კონფლიქტის ზონებში

4 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორის ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ სანდრო კავსაძემ მიიღო გაეროს გენერალური მდივნის საგანგებო დესპანის მოადგილე — საქართველოში გაეროს ყველა სააგენტოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი ივლიუ ბოტა.

საუბარი შეეხო აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების გზებს, ადამიანის უფლებათა დაცვას კონფლიქტის ზონებში და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს ღალის მიერ დიდი პროფესიული გამოცდილების მქონე დიპლომატის ივლიუ ბოტას წარმოგზავნა საქართველოში ასეთი მაღალი მისიით, თავისთავად იმედისმომცემი ფაქტია და ხაზს უსვამს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინტერესს საქართველოში კონფლიქტების მოგვარების საკითხებით.

კომიტეტის პრესცენტრი.

აფხაზეთში დაღუპულ ქართველ მეომრებს თბილისში გადმოასვენებენ

4 ოქტომბერს მინისტრთა კაბინეტის კინო-დარბაზში გაიმართა აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიებისა და მათი ოჯახების უფლებების დაცვის სამთავრობო კომისიის გაფართოებული სხდომა ვიცე-პრემიერის ავთანდილ მარგიანის თავმჯდომარეობით.

მოისმინეს ინფორმაცია დაკარგულ მებრძოლთა მოძიების შესახებ, რომელიც გააკეთა დაკარგული შვილის მამამ, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ავთანდილ დობორჯგინიძემ.

აღინიშნა, რომ აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკების შედეგად იგი თანახმაა გადმოგვცეს სოხუმის „ბაბუშერას" აეროპორტთან დასაფლავებული 90 ქართველი მეომრის ნეშტი. ითქვა, რომ მათი თბილისში გადმოსვენებისათვის საჭიროა ხელსაწყოები, როგორც მომხსენებელმა განაცხადა, მეომრები დასაფლავდებიან „წმინდა ნინოს" შემოგარენში.

სამთავრობო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება განხორციელდეს რადიკალური ღონისძიებები ასეთი ოჯახების წევრთა უფასო მგზავრობის, უფასო მკურნალობისა და სხვა სოციალური საკითხების ოპერატიული გადაწყვეტისათვის.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

ვიზიტის წინ

შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის საფუძველს ჩაუყრის პოლიტიკურ დიალოგს და აღიარებს ადამიანის უფლებებს, როგორც თანამშრომლობის ქვაკუთხედს

ევროკავშირის კომისარი საქართველოს ეწვევა

დღეს, 5 ოქტომბერს თბილისში ვიზიტად ჩამოდის ევროკავშირის საერთაშორისო ურთიერთობის საკითხთა კომისარი ჰანს ვან დენ ბრუკი. ვიზიტის პროგრამაში, რომელიც სამ დღეს გასტანს, არის შეხვედრები სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან, პრემიერ-მინისტრთან ოთარ ფაცაციასთან. საქართველოს პარლამენტის სპიკერთან ვახტანგ გოგუაძესთან. ჰანს ვან დენ ბრუკი ეწვევა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს.

თბილისში კომისარი ხელს მოაწერს მემორანდუმს 1995-96 წლებში საქართველოსათვის ევროკავშირის მრავალმხრივი დახმარების შესახებ. იგი მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის დ დაქალაქში ევროკავშირის მისიის გახსნაში, ტექნიკური დახმარ ბის პროგრამის პროექტის პრეზენტაციაში. გათვალისწინებულ აგრეთვე, რომ იგი ეწვევა თბილისის პირველ საქალაქო საავად ყოფოს, დაათვალიერებს თბილსრესს, გაეცნობა საქართველო წითელი ჯვრის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლობ საქმიანობას.

ვიზიტის დასასრულს ევროკავშირის კომისარი აპირებს შე დეს ჟურნალისტებს და გაუზიაროს შთაბეჭდილებები საქართ ლოში ყოფნის შესახებ.

საქართველოში ოფიციალურად გაიხსნება ევროკავშირის დელეგაცია

ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა კომისარის ბატონ ვან დენ ბრუკის საქართველოში ვიზიტს მიეძღვნა ევროკავშირის ელჩის ბატონ დენის კორბოის გუშინდელი პრესკონფერენცია.

— ვიზიტის განმავლობაში ბატონი ვან დენ ბრუკი გახსნილად გამოაცხადებს მოლაპარაკებას პარტნიორობისა და თანამშრომლობის თაობაზე, — თქვა მან, — ხელი მოეწერება შეთანხმებას ევროკავშირსა და საქართველოს შორის. შეთანხმებამ ვაჭრობის, ეკონომიკისა და კომერციის ფართო სპექტრი უნდა მოიცვას. იგი საფუძველს ჩაუყრის პოლიტიკურ დიალოგს და აღიარებს ადამიანის უფლებებს, როგორც თანამშრომლობის ქვაკუთხედს. ევროკავშირის ელჩმა აღნიშნა, რომ ბატონი ვან დენ ბრუკი ოფიციალურად გახსნის ევროკავშირის დელეგაციას საქართველოში. საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ოთარ ფაცაციასთან ერთად ხელს მოაწერს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლის საფუძველზეც დაიწყება საქართველოსათვის სურსათით დახმარების ახალი პროგრამის განხორციელება.

ვიზიტის განმავლობაში ბატონი ვან დენ ბრუკი გახსნის ტასისის ახალ პროექტს სახელწოდებით „სამოქალაქო სამსახურის რეფორმა და სახელმწიფო მოხელეთა მომზადება საქართველოში". ტასისი სამ ძირითად მიზანს ისახავს: საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და დემოკრატიის მშენებლობისათვის მხარდაჭერას, ურთიერთკავშირისა და თანამშრომლობის გაძლიერებას ყველა დონეზე, დახმარების მიმღები ქვეყნების ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკაში.

— საქართველო მტკიცედ ადგას ეკონომიკური რეფორმების გატარებისა და დემოკრატი გარდაქმნების კურსს, — თქვა ბატონმა კორბოიმ, — ეს ძნელი ხანგრძლივი პროცესია, რომელ ქვეყანამ უმეტესწილად თვით უნდა განახორციელოს, მაგრ ამასთანავე, დიდი მნიშვნელ ენიჭება სხვა სახელმწიფოებისა საერთაშორისო ორგანიზაციე დახმარებას ამ მიზნის მიღწევა ევროკავშირი უკვე თითქმის ო რი წელია ნაყოფიერად ეხმარ საქართველოს რამდენიმე ძირ თად სფეროში.

მზია გელენა

აქტუალური ინტერვიუ

საბედისწერო წაბორძიკება

(დასასრული)

— ემანდ ცოდვა კი არ დაიდოთ...

— მეტსაც გეტყვი, მათ საქართველოს მთავრობა ორჯერ მოატყუეს. ერთხელ მაშინ, როცა განაცხადეს, რომ მიწის პრივატიზაციის პირველ ეტაპს 10 მარტისათვის დავამთავრებთო. და მეორედ, როცა მომდევნოს პირველი აპრილისათვის წერტილს უსვამდნენ. ფაქტობრივად, მიწების განუკითხავად დარიგება, თუ დატაცება, შემოდგომამდე გაგრძელდა და სწორედ ამიტომ ასობით ჰექტარი სახნავ-სათესი და მრავალწლიანი ნარგავები დაუმუშავებელი და უპატრონოდ დარჩა.

შხამქიმიკატების უქონლობის გამო კი, ხეხილის ბაღებში და ვენახებში დაავადებები გაჩნდა. წლის მოსავალი მთლიანად დაიკარგა, თვითონ მცენარე [illegible] ან გახმა. ვფიქრობ, საპარლამენტო კომისიამ ეს და სხვა აუნაზღაურებელი ზარალის მიზეზები ძირისძირობამდე უნდა შეისწავლოს და შემდგომ თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვას.

იცით რა, მიწის რეფორმა თავისთავის იყოს, მათ ადამიანებს [illegible] და ცხოვრების წესი [illegible]. მე თვითონ ვარ მოწმე, [illegible] „უფროსები“ თბილისიდან გორის რაიონში, ათავისუფლებდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს და თავიანთ კანდიდატურებს ნიშნავდნენ. ამ [illegible]ებობისა და უკანონობის გა[illegible] კი არავინ იყო... თანაც ხალხს აქეზებდნენ — მეურნეობისა და კოლმეურნეობების ქონება თქვენია და წაიღეთ, ხმას არავინ გაგცემთო.

[illegible] რომ იცოდეთ, იმ თვითმარქვიების [illegible] ბევრი წამოეგო, მათ [illegible] დაანგრიეს, გაპარტახეს [illegible] მოერიდნენ, [illegible], ახალმოდის „უფ[illegible]“ [illegible] ხალხს დღისით, მზი[illegible] [illegible]შაული ჩაადენინეს. ისე, [illegible] რომ [illegible], სოფელში შე[illegible] და ქაოსი [illegible] მეურნეობისა და [illegible] ხელმძღვა[illegible] [illegible]ძლევდა — ამდე[illegible] ადვილად ითევ[illegible]

[illegible] სამართალდამცავი [illegible]ბი, ერთი სოფლის მა[illegible] დაინტერესდნენ, რომ [illegible] მესვეურებსა და მოსა[illegible] დიდ ნაწილს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაკისრებათ.

— ღმერთმა ნუ ქნას, ჩვენს [illegible] მიწა-მწყურვალ ხალხს ეგლა უნდა, მას ისიც ეყოფა, რომ დღეს სოფელმა თავისი სახე თითქმის დაკარგა და არავითარი მეურნეობრიობა აღარ არსებობს. ვფიქრობ, ჩვენი სოფლის ავლადიდება საერთო საკუთრებად უნდა მიგვეჩნია და დაგვეცვა საარსებო წყარო. მაშინ ასე გაჭირვებული, დღეს რომ ვართ, ალბათ, აღარ ვიქნებოდით.

— როცა მთავრობა მიხვდა, რომ მოჩვენებითი პრივატიზაციით სოფელს და ქალაქს ვერ გამოკვებავდა, დაამტკიცა მეურნეობების ჩამონათვალი, რომლებსაც რეფორმა არ უნდა შეხებოდათ და თავიანთი მოძრავ-უძრავი ქონებით უნდა შეენარჩუნებინა, როგორც სახელმწიფო მეურნეობები, მაგრამ ამ დროისათვის ისინი უკვე აღარ არსებობდნენ.

— ეს იმას ჰგავს, — „მოლა მოკვდა და თავზე ფლავი დააყარესო“.

— რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა ამ მეურნეობების შენარჩუნებაზე თავიდანვე გვეზრუნა. ეს გარდამავალ ეტაპზე მაინც აუცილებელი იყო. არადა, სურსათის დეფიციტმა კრიტიკულ ზღვარს გადააჭარბა. ამის ერთ-ერთი მიზეზი სოფლისადმი უგუნური დამოკიდებულება, ზუსტად ისეთი, გამსახურდიასეული ხელისუფლება რომ ახორციელებდა. მისი იდეოლოგიის მიმდევრები, სამწუხაროდ, დღევანდელ სტრუქტურებშიც საკმაოდ შემორჩნენ. თანაც მოხერხებულად შეინიღბნენ, სოფელს კვლავ თვიანთებურად მტრობენ და ამით საქართველოს დღევანდელ პოლიტიკასაც ძირს უთხრიან.

— მაშ, რა გადაარჩენ მეხილეობის დარგს, მისი მომავალი როგორ გესახებათ? იქნებ მიწის შესახებ კანონი უშველიდა, რომელიც პარლამენტმა ვერადა ვერ მიიღო?

— უნდა ვიმოქმედოთ იმის საწინააღმდეგოდ, რითაც სოფლის მეურნეობა მიწასთან გავასწორეთ, რა ჩავიდინეთ? აკი მოგახსენეთ, სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის უქონლად მიწების პრივატიზაციამ აუნაზღაურებელი ზარალი მოგვიტანა. ამით დავანგრიეთ მეურნეობრიობის ძველი ფორმები და ახალი კი ვერ შევქმენით. კომუნისტებივით დაგვემართა, ხალხს სარწმუნოება რომ წაართვეს და სამაგიეროდ ვერაფერი მისცეს.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი, ანუ ხეხილის ბაღებისა და ვენახების 70 პროცენტზე მეტი მოსახლეობას გადაეცა, მაგრამ ისინი ამისათვის მზად არ აღმოჩნდნენ. გლეხი მიწასთან შიშველი ხელებით მივატოვეთ, არ გავითვალისწინეთ საბაზრო ეკონომიკის ისეთი ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც მეურნეობებსა და კერძო პირებს საწარმოო საშუალებებით უზრუნველყოფდა.

სად გაგონილა?! მიწის რეფორმა ვისაც როგორ ესმოდა, ისე ხორციელდებოდა. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ პრივატიზებული მიწების დიდი ნაწილი აღმოჩნდა იმათ ხელში, ვინაც საზოგადოებრივ შრომას არ გაჰკარებია და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების იოტისოდენა სურვილიც კი არ გააჩნდა და ახლა მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდება, რომ მიწა ყიდვა-გაყიდვის საგანი გახადოს.

მართალია, ქვეყანამ კერძო მეწარმეობის კურსი აიღო, მაგრამ არა მგონია გლეხი, რომელსაც 1,25 ჰექტარი სახნავი, ვენახი და ბაღი აქვს, სასაქონლო პროდუქციის დიდი მწარმოებელი და ერის დამპურებელი გახდეს, მით უმეტეს, როცა მიწის დიდი ნაწილი უნაყოფოა.

გორის რაიონში მოსახლეობის ხელში 12 ათასი ჰექტარი ხეხილის ბაღი მოექცა. აქედან დღეისათვის 7 ათასი მიწასთან არის გასწორებული. ნაწილი მოუვლელობით გახმა, ნაწილი ამოიძირკვა, ზოგიც სიბერის გამო თვითონ წაიქცა და სულ ცოტა 100 ათას ტონაზე მეტი ხილის მიღების პოტენციური შესაძლებლობა დაიკარგა. თუ დაუყოვნებლივ რადიკალური ღონისძიებანი არ გატარდა, ეს პროცესი შეუქცევადი იქნება.

[illegible] კარგს არაფერს მოიტანს. უპირველესად სახელმწიფოს მეთაურმა მეხილეობაზეც ისეთივე ბრძანებულება უნდა გამოსცეს, როგორიც მევენახეობაზე გამოსცა, თორემ დარგი მთლიანად დაუცველია და სადაცაა ეშმაკები დაეპატრონებიან.

ამასთან, აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდა დაევალოს გამონახოს გზები და საშუალებანი, რომ მეხილეობის აღორძინებისათვის გასცეს მიზნობრივი კრედიტი, მერე კი სოფელს უნდა და[illegible], დაე, მეურნეობრიობის ფორმა თვითონ აირჩიოს.

სასურველია და სრულიად გამართლებული იქნება, თუ თანდათანობით მსხვილი ფერმერული ან სხვა ტიპის კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული მეურნეობები შეიქმნება, რომელთაც 200-300 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული მაინც ექნებათ და სასაქონლო პროდუქციის მსხვილი მეწარმე იქნებიან.

პირადად მე, ასეთი ფერმერული მეურნეობის შექმნის დიდი სურვილი მქონდა და მაქვს კიდევაც. ერთი წლის წინათ ჩემს სურვილს მხარი დაუჭირა სახელმწიფოს მეთაურმაც. მინისტრთა კაბინეტმა წლეულს სპეციალური დადგენილებაც მიიღო, სხვა დოკუმენტებიც შეიქმნა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს საქმე მთელი წლიწადი ქაღალდებს ვერ გასცდა და ყინული მხოლოდ ამ დღეებში დაიძრა..

მიწის შესახებ კანონის მიღების ფართობზე კი ალტერნატიული აზრი არ არსებობს. იგი აუცილებლად შეეხებოდა და სწორ რელსებზე დააყენებდა მარტო სოფლის მეურნეობას კი არა, მთელ აგრარულ სექტორს. არ იქნებოდა ამდენი განუკითხაობა, დამახინჯებები და სილარიბე.

საქართველოს პარლამენტის აგრარულმა კომისიამ, მართლაც რომ, ძალიან მოისუსტა და საკითხს თავი ვერ გაართვა. თქვენი თქმისა არ იყოს, ასე მგონია, მან საბედისწეროდ წაიბორძიკა. ამას თვითკრიტიკულადაც ვამბობ, რადგან ამ კომისიის წევრი გახლავართ. ვფიქრობ, სამი წელი საკმარისი იყო იმისათვის, რომ კომისიას კანონპროექტი პარლამენტზე დაეცვა. ნამდვილად არ გვეპატიება, ყურადღების მიღმა დავტოვეთ ჩვენი დიდი ეროვნული სიმდიდრე — მიწა. ამ ინერტულობას გამართლება არა აქვს. როგორც ამბობენ, — დრო, ალბათ, ყველაფერს გამოაჩენს.

ახალი პარლამენტი ამ ეროვნული პრობლემის განხილვას თავისი საქმიანობის დაწყებისთანავე უნდა შეუდგეს, სასწრაფოდ უნდა მიიღოს კანონები, რომლებითაც დარეგულირდება არსებული პრობლემები. ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს ახლანდელ მდგომარეობას, როცა ხელისუფლებას მიწა-წყლის პატრონის ფუნქცია დაკარგული აქვს. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩვენს თვალწინ უმოწყალოდ ნადგურდება ის, ურომლისოდაც ერის არსებობა შეუძლებელია.

კანონებს საჭიროა აგრეთვე საკარმიდამო მეურნეობებისთვის გადაცემული მიწების გამოყენებისა და მათზე გადასახადების თაობაზე. უნდა დაკანონდეს, რომ თუ პრივატიზებული მიწა დანიშნულებით და ნაყოფიერად არ იქნება გამოყენებული, დაუბრუნდეს სახელმწიფოს ან გადაეცეს მას, ვისაც არა აქვს, ვინც მის დამუშავებას შეძლებს.

ერთი სიტყვით, საჩქაროდ უნდა შევქმნათ კანონების პაკეტი, რომლებიც ყოველმხრივ მოაწესრიგებენ მიწათმფლობელობის და მიწის გამოყენების მტკივნეულ პრობლემებს. ასეთი კანონები რეფორმის დაწყებამდე რომ გვქონოდა, რა თქმა უნდა, ყველაფერი უმტკივნეულოდ ჩაივლიდა. ქვეყანა ასე არ დაიმშეოდა და არც აგრარული სექტორი გაპარტახდებოდა. რა ქვეია ამას? მე არ ვიტყვი. უმჯობესია მკითხველს მივანდოთ, მან განსაჯოს.

— ბატონო გივი, მახსოვს ამ დროს ქართლის რაიონებში დიდი ფუსფუსი იყო ხოლმე. ხილი უკვე შერჩევით იკრიფებოდა და თან მოსავლის მასობრივად აღებისთვის ემზადებოდნენ. ამბობენ, წელს დიდი მოსავალი იქნებაო.

— ილუზიებს უნდა მოვეშვათ, ჯობია რეალისტები ვიყოთ და როცა გადავხტებით, ჰოპლა მერე დავიძახოთ. დღეს ბაზრის დახლებზე, ასე თუ ისე, ხილი ჩანს და, ალბათ, ეს არის ილუზიების საფუძველი. საქმეში ჩახედულმა იცის, რომ ეს მოჩვენებითი სიუხვეა, რადგან მოწეულ მოსავალს მხოლოდ ერთი გზა დარჩა — ბაზარი. იმის თქმა მინდა, რომ ხილის სამრეწველო გადამუშავება აღარ ხდება. როცა უხვი მოსავალი გვქონდა, 50 პროცენტზე მეტი მრეწველობას ბარდებოდა. ხალხი ზამთრისათვის ემზადებოდა და შინ მრავალნაირ კომპოტს, მურაბას და ჯემს აკეთებდა. უშაქრობის გამო, უფრო სწორად მისი სიძვირის გამო, ამის საშუალება ხალხს მოესპო და ხილი დახლებზე ამიტომაც გამოჩნდა. თუ თქვენ ფასებს დაუკვირდებით და ანალიზს გაუკეთებთ, მაშინ ვერ იტყვიან, რომ წლეულს ხილის დიდი მოსავალია.

ეს მწარე ფაქტი ჩემთვისაც სავალალოა, რადგან მეხილეობის საკმაოდ ცნობილი რაიონიდან გახლავართ და, რაღა დაგიმალოთ, ამით ყოველთვის ვამაყობდი... მაგრამ იცოდეთ, ოპტიმისტი ვარ. საკმაოდ დიდი დროა საჭირო, მაგრამ გორის რაიონის ხილის ბაღები უთუოდ აღორძინდება.

— გისმენთ გამჩენმა, დაე, მისი წყალობითა და ლოცვა-კურთხევით, ნაგუბარში წყალი კვლავაც ჩადგეს!

ინტერვიუერი
როლანდ ბასილაშვილი.
გორი-თბილისი,
სექტემბერი, 1995 წ.

ჟამი დიდი არჩევნისა

დიდი კავშირი ერთიანი საქართველოს ასაღორძინებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგა გადამწყვეტი ჟამი, მოახლოვდა ნოემბერი — საქართველო უმთავრეს გზაგასაყარს მიადგა..

უნდა ავირჩიოთ — საით წავიდეთ, რა ვაკეთოთ, როგორ ვიცხოვროთ მომავალში...

არჩევანი ერთადერთი გვაქვს: — გაერთიანება, ქვეყნის ფეხზე წამოყენება და აღორძინება.

„აღორძინება“ — ბევრის შემცველი, ტევადი ცნებაა. იგი მხოლოდ მაშინ იქცევა რეალობად, როცა ამ პროცესის სამსახურში ჩადგება ერის მთელი ინტელექტუალური პოტენციალი. როცა დასახული მიზნისაკენ სწრაფვა ქვეყნის მარტო ერთ რომელიმე რეგიონს კი არა, მთელ საქართველოს მოიცავს და თითოეული მოქალაქის ყოველდღიურ სულიერ მოთხოვნილებად იქცევა.

თუ რა შესძლებია ერთ მუშტად შეკრულ, ერთი სულისკვეთებით გაერთიანებულ ადამიანებს, ამის ნათელი მაგალითია აჭარა, ბათუმი. ცნობილია ამ „სასწაულის“ მთავარი შემოქმედიც — „სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი“, რომელსაც ბატონი ასლან აბაშიძე ხელმძღვანელობს.

ამ რამდენიმე წლის წინათ აჭარაში დაბადებული ეს პატრიოტული ორგანიზაცია თანდათანობით ერთ-ერთ მძლავრ, პოლიტიკურ კავშირად გადაიქცა და დღეს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხის ასეულობით მოქალაქეს აერთიანებს.

რამ განაპირობა „სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის“ ასეთი ავტორიტეტი?

— უპირველესად კონკრეტულმა საქმეებმა, სიმშვიდემ, წესრიგმა და აღმშენებლობის გარემოცვამ, რომელიც მკვიდრობს აჭარაში; მისი თავმჯდომარის —ასლან აბაშიძის გააზრებულმა, თანმიმდევრულმა ეროვნულმა პოლიტიკამ, რომელიც მიზნად ისახავს არა მხოლოდ აჭარის, არამედ მთელი სახელმწიფოს აღორძინებას.

ე. შევარდნაძისა და ა. აბაშიძის „კავშირები“ შეკავშირდნენ...

— დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმ პოლიტიკას, რაც აჭარაში ხორციელდება და გვსურს დაკავშირებული ვიყოთ იმ ძალასთან, რომელიც დღეს აჭარას მართავს,— განაცხადა ბათუმში ჟურნალისტებთან შეხვედრისას საქართველოს მოქალაქეთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ზურაბ ჟვანიამ, რომელმაც მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭოსა და მისი თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის სახელით ერთ წინასაარჩევნო ბლოკში გაერთიანება შესთავაზა „სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირს“.

—„მოქალაქეთა კავშირის“ თანამშრომლობა „აღორძინების კავშირთან“ —აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ, — შეიძლება ითქვას, „მოქალაქეთა კავშირის“ ჩამოყალიბების დღიდანვე არსებობს. სწორედ ბატონი ასლანი და მის მიერ შექმნილი პოლიტიკური ორგანიზაცია იყო ჩვენი ძირითადი პარტნიორი, რომელთანაც ვთანამშრომლობდით ფართო სპექტრის პოლიტიკური პრობლემების დასაძლევად.

როგორც კი დაიწყო საუბარი საქართველოში ახალი არჩევნების ჩატარების თაობაზე, ბუნებრივია, იმთავითვე ავიღეთ გეზი ამ არჩევნებში ერთობლივი მონაწილეობისაკენ, რაც ამ დღეებში ერთიანი საარჩევნო ბლოკის შექმნით დასრულდა. ასე რომ, ეს ორი პოლიტიკური ძალა ერთობლივად იბრძოლებს მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, რაც ჩვენი ორგანიზაციისათვის მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გახლავთ.

მანამდე კი,— განაგრძო „მოქალაქეთა კავშირის“ გენერალურმა მდივანმა, — კავშირის მთავარი საბჭოს სხდომაზე ხანგრძლივად ვიმსჯელეთ იმის გამო, შეგვექმნა თუ არა საარჩევნო გაერთიანება სხვა პარტიებთან. საკმაოდ ბევრი გვთავაზობდა ასეთ გაერთიანებას. მაგრამ საერთო გადაწყვეტილებით ერთადერთი ორგანიზაცია, რომელთან „შეუღლებაც“ მომავალ საარჩევნო ბრძოლაში იქნებოდა ჩვენთვის მისაღები, იყო „აღორძინების კავშირი“.

ჩვენს პოლიტიკურ გაერთიანებებს ერთმანეთთან [illegible]ხლოებს არა მხოლოდ პროგრამები, არამედ რეალური საქმეც. ჩვენ გაგვაჩნია ერთნაირი ხედვა, [illegible]თნაირი სამოქმედო სტრატეგია. ვფიქრობ, — [illegible]ნაგრძო ზურაბ ჟვანიამ, —რომ „აღორძინების [illegible]ვშირი“ კვლავაც განახორციელებს სტაბილურობის შენარჩუნების პოლიტიკას, რომელსაც ატარებდა იგი აჭარაში ბოლო წლების განმავლობაში. [illegible]ნდა ეს ტენდენცია გავრცელდეს მთელ საქართველოში. ჩვენი კავშირის ლიდერის — ედუარდ [illegible]ვარდნაძის პოლიტიკაც იქით არის მიმართული, რომ [illegible]ქართველოში საბოლოოდ დამყარდეს მშვიდობა [illegible]ა თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს საკუთარი უსაფრთხოების, თავისუფალი საქმიანობის, ცხოვრების ყველა გარანტია სახელმწიფოს მხრიდან. სწორედ ეს არის ჩვენი იდეოლოგიის დედაბოძი!

ჩვენი თანამშრომლობა შეიძლება არ შემოიფარგლოს დროებითი წინასაარჩევნო გაერთიანებით და ხანგრძლივი პერიოდით ჩამოყალიბდეს. შედარებისათვის გერმანიის მაგალითს მოვიტანდი: ცნობილია, რომ აქ ყველაზე გავლენიანი და მრავალრიცხოვანი პოლიტიკური ძალაა „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიან-სოციალისტური კავშირის“ ბლოკი. ამასთან, ბავარიაში მოქმედი ქრისტიან-სოციალისტური კავშირი მაინც ინარჩუნებს თავის ავტონომიურობას, დამოუკიდებლობას, თუმცა ოფიციალურად ცალკე პარტიას წარმოადგენს. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში სამომავლოდ სწორედ ასეთ თანამშრომლობას ვხედავ. ასე რომ, ჩვენი კავშირის გადაწყვეტილება არ არის შემთხვევითი და არც ნაკარნახევი მხოლოდ წინასაარჩევნო კონიუნქტურული მოსაზრებებით, ის გავლენა, რომელიც გააჩნია „აღორძინების კავშირს“ აჭარაში და საქართველოს სხვა მხარეებში, წმინდა პრაგმატული თვალსაზრისითაც ძალზე მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი საარჩევნო კამპანიისათვის.

პაუზა სარედაქციო ჩანართისათვის:

ახლაც თვალწინ მიდგას ის დღე... აფორიაქებული თბილისი. პარლამენტის შენობის წინ შეკრებილი ათასობით თბილისელი, რომელიც სთხოვდა მათთან შეხვედრად ღია ფანჯარასთან მოსულ სახელმწიფოს მეთაურს უარი ეთქვა მის მიერ მიღებულ გადადგომის გადაწყვეტილებაზე.

რაც მოხდა იმ დღის რუსთაველის გამზირზე, კარგად გვახსოვს ყველას... იმ დღის მოქალაქეებმა გაიმარჯვეს!

ისიც მახსოვს, ამ მოვლენის მეორე დღის როგორ მოვიდნენ ჩვენთან რედაქციაში ქალბატონი მანანა გოგინეიშვილი, ელდარ შენგელაია, ვახტანგ როდონაია და სხვები, როგორ შეესხა ფრთები ახალი ორგანიზაციის „ერთობისა და კეთილდღეობის“ შექმნის, მასში ბატონ ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერი პატრიოტული ძალების გაერთიანების იდეას... სწორედ მაშინ დაუდგა გვერდით სახელმწიფო მეთაურსაც და ამ ძალებსაც „აღორძინების კავშირი“ და მისი თავმჯდომარე ასლან აბაშიძე თავისი კატეგორიული და პრინციპული განცხადებითა და ლოზუნგით: „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“.

„ერთობა და კეთილდღეობა“ გახლდათ ის პირველი ორგანიზაცია, რომელიც საძირკვლად დაედო „საქართველოს მოქალაქეთა კავშირს“, რომელიც სულ მოკლე ხანში ერთ-ერთ მძლავრ ორგანიზაციად გადაიქცა ჩვენს პოლიტიკურ სარბიელზე.

• • •

ასე რომ, ამ ორი ორგანიზაციის დღევანდელი წინასაარჩევნო კავშირი შემთხვევითი არ არის. ბატონი ასლან აბაშიძე ასე განმარტავს ამ გაერთიანების არსს:

— ჯერ „აჭარის აღორძინების კავშირი“, შემდგომ „სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი“ და მათი დეპუტატები ყოველთვის მხარს უჭერდნენ სახელმწიფოს კურსს, სახელმწიფოს მეთაურს. ის „მუშაობდა“ როგორც ფორმულა, რომლიდანაც გადახვევა არასოდეს ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ იყო ნიუანსები, რომელშიც განსხვავებული აზრი გვქონდა. გლობალურ საკითხებზე მუშაობა კი ყოველთვის ერთიანი ხაზით მიმდინარეობდა, რადგან, როცა სახელმწიფოს სჭირდება, იქ სახელმწიფოს ხელმძღვანელის აზრი უნდა დომინირებდეს.

რაც შეეხება „მოქალაქეთა კავშირისა“ და „აღორძინების კავშირის“ პროგრამას, ისინი ძირითადად ერთნაირია. განსხვავებას ვერ ვხედავ... თვით ლოზუნგიც — „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“ —ერთიანი ლოზუნგია. შესაძლოა სხვა პარტიებმაც თქვან, — ჩვენც ასეთი ერთიანი მიზნისაკენ მივდივართო იმავე ლოზუნგით, მაგრამ ჩვენ ამას ვამბობთ საქმით და არა სიტყვით. ფაქტობრივად, ჩვენი „კავშირი“ ემსახურება საქართველოს აღორძინებას, ე. ი. ასრულებს ისტორიულ მისიას. იგივე აზრია ჩადებული „მოქალაქეთა კავშირის“ წესდებასა და პროგრამაში. ამიტომაც აქ სრული თანხმობა გვაქვს და გასაკვირიც არ უნდა იყოს, რომ ერთ ბლოკში გავერთიანდით.

ჩვენც გვაქვს ჩვენი პრეტენზიები და გარკვეული მოსაზრებანი ზოგიერთ საკითხზე. ეს განსაკუთრებით ეხება ამ ბლოკში გაერთიანებულ ამა თუ იმ პიროვნებას. არიან ადამიანები, რომლებიც ჯერ „მრგვალ მაგიდასთან“, შემდეგ „სამხედრო ხუნტასთან“ თანამშრომლობდნენ და ყველა მთავრობას მოერგნენ. ჩვენ ასეთ ხალხთან, — აღნიშნა ბატონმა ასლანმა, — არავითარი საერთო არ გვექნება. ალბათ აქედან გამომდინარე მოგვიწევს კორექტირებაზე საუბარიც და სათანადო გადაწყვეტილების მიღებაც. როცა ამას ვამბობთ, ვეყრდნობით დასაბუთებულ მასალას, როცა ერთი და იგივე პიროვნება სახელმწიფო სტრუქტურებში მოსულ დიამეტრალურად განსხვავებულ ძალებთან თანამშრომლობდა.

დღეს არ არსებობს ამ ბლოკის ტოლფარდი ძალა, თუმცა ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ იქნება დეპუტატობის კანდიდატი მაჟორიტარულ არჩევნებში. მოსახლეობა ადრინდელ შეცდომებს აღარ გაიმეორებს, როგორ არჩევნებსაც ჩავატარებთ, ისეთი იქნება ქვეყნის ხვალინდელი დღე.

ლოგიკურობის თვალსაზრისით, — განაგრძობს ბატონი ასლანი, — გამარჯვება გარდაუვალია. მაგრამ მთავარია ტოტალური გამარჯვება, რასაც ჩვენი ხასიათიდან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა ექნება. მაგალითად, დასავლეთში 51 პროცენტს რომ აგროვებენ და მმართველი პარტიის სახით მოდიან ხელისუფლებაში, ამბობენ — გაიმარჯვაო. ჩვენთან ასე არ ხდება. გამარჯვება უნდა იყოს სრული, ტოტალური.

ცხადია, ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიც არის ორი წამყვანი პოლიტიკური ძალის ერთიან ბლოკად გაერთიანება, ჩვენი საზოგადოებრიობის ფართო ინტერესს იწვევს. ამიტომაც ჟურნალისტებს ყოველი დეტალი თუ ნიუანსი გვაინტერესებს. მაგალითად როგორი იქნება ამ ბლოკის სახელწოდება, თუ შეიძლება არჩევნების შედეგების მიახლოებითი პროგნოზირება, საერთოდ, თანამშრომლობის პერსპექტივა და სხვა.

რაც შეეხება სახელწოდებას, ბატონი ასლან აბაშიძის აზრით „ის უნდა გამოხატავდეს ამ ბლოკის მიმართულებას, მის გეზს, მის მიზანს, მიზანი კი აღორძინებაა. აქ არ უნდა მიენიჭოს უპირატესობა რომელიმე კავშირს. ორივეს აქვს გარკვეული მიღწევები, ძირითადი კი მაინც ერთია —საქართველოს აღორძინება. სახელი ალბათ მალე ჩამოყალიბდება, — აღნიშნა ასლან აბაშიძემ და თუკი ჩვენთვის მისაღები იქნება, დასტურს მივცემთ.

რაც შეეხება პერსპექტივას, ჩვენ ერთიანი გეზით, ერთიანი ხაზით მივდიოდით და ასევე იქნება მომავალშიც. ვფიქრობ, ეს იქნება ბაზისი, რომელზეც დაეყრდნობა მომავალი ქვეყნის შენება.

„მოქალაქეთა კავშირის“ გენერალური მდივანი კი ასე ფიქრობს: —დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ორივე „კავშირს“ აქვს ყველა პირობა მოიპოვოს უპირატესობა პარლამენტში, რაც ძალზე მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნისათვის, რადგან ვფიქრობთ, რომ პრეზიდენტს უნდა ჰყავდეს საკუთარი უმრავლესობა პარლამენტში, რაც მისცემს მას რეალური ხელგახსნილი მოქმედების შესაძლებლობას

რაც შეეხება ბლოკის სახელწოდებას, მის ლოზუნგებს, პლაკატებს, ალბათ აქ პრობლემები არ გვექნება, ვფიქრობ, სიტყვა —„აღორძინება“ კარგად გამოხატავს იმ მთავარს, რაც გვინდა შევთავაზოთ ამომრჩეველს, შეიძლება სხვა საინტერესო სახელიც მოვიგონოთ.“

• • •

უკვე რამდენიმე დღეა აჭარაში, ბათუმში ამ დიდი გაერთიანების ეროვნულ მნიშვნელობაზე ლაპარაკობენ, მსჯელობენ... მართლაც მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო — აღორძინებას ჩვენი ხალხის, მოქალაქეების ერთიანი ძალისხმევა, დიდი თანადგომა რომ სჭირდება, ეს კარგად იცის თითოეულმა ჩვენთაგანმა.

ამიტომაც დღეს აღარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ აღდგება, აღორძინდება საქართველო, რომლისაც ამ სანუკვარ მიზნისაკენ გაუძღვებიან „საქართველოს მოქალაქეთა“ და „აღორძინების“ კავშირების ლიდერები: ედუარდ შევარდნაძე და ასლან აბაშიძე.

გია ჭელიძე,
„სრ“ აჭარის ბიუროს ხელმძღვანელი.

მსოფლიო ჩვენს ირგვლივ

ლის 5 ოქტომბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

[illegible]რთველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და [illegible]რაგების მინისტრის მ. ზანკალიანის შესახებ

[illegible]რთველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 36-ე მუხლის საფუძველზე:

[illegible]კმაყოფილდეს საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და [illegible]ბის მინისტრის მურთაზ ზანკალიანის თხოვნა საქართველოს [illegible]ლამენტის არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით [illegible]კავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

[illegible] დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს პარლა[illegible]

ე. შევარდნაძე.

ლის 5 ოქტომბერი.

[illegible]თშიც, გამოქვეყნდა ცნობები — „საქართველოს მოქალაქეთა კავშირისა“ და „სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის“ მომავალ არჩევნებში ერთ ბლოკად მონაწილეობის შესახებ.

გუშინ „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ საარჩევნო შტაბში ამ „კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილემ, კავშირის მთავარი საბჭოს წევრმა ელდარ შენგელაიამ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციების — „საქართველოს [illegible]რთობასა და თანამშრომლობას ხანმოკლე, მაგრამ მეტად ტევადი და შინაარსიანი ისტორია აქვს. ეს ურთიერთობა დაიწყო ჩვენი „კავშირის“ შექმნის პირველივე დღიდან, გრძელდება დღემდე და გაგრძელდება ახლაც მომავალში, რადგან იგი მიზნად ისახავს საქართველოს გაერთიანებასა და აღორძინებას.

სწორედ ამით იყო განპირობებული შეთანხმება „მოქალაქეთა კავშირისა“ და „სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის“ ერთ საარჩევნო ბლოკად გაერთიანების შესახებ.

[illegible]ოდ აისახა კიდეც ჩვენს საინფორმაციო საშუალებებში.

ახლა, როცა წინასაარჩევნო კამპანია ძალაში შედის და ყოველდღიურად იკვეთება საარჩევნო სტრატეგიის ახალ-ახალი ნიუანსები, ორივე „კავშირის“ დამაჯერებელი გამარჯვების მიღწევის თვალსაზრისით, ორივე მხარემ უფრო მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მომავალ არჩევნებში დამოუკიდებლად გამოსვლა.

როგორც უკვე აღვნიშნე — თქვა ბატონმა ელდარმა, — ჩვენი ორივე „კავშირის“ მიზ-

---



პრობლემა

თევზმა ხ
რომ ამოიღ

„ეგ საყოველთაო საჭმელი ჩვენის ხალხისა საერ
დღეს მარტო მდიდრის სანუკვარი-ღა შეიქმნა, თ
და ხიზილალას ეხლა მარტო მდიდარი თუ ზმა
საჭმელად, თორემ სხვას სიზმრადაც აღარ ეზმანე

ილია ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა,
1882 წლის დეკემბერი.

ისტორია მეორდება. ისე ემთხვევა მაშინდელი და დღევანდელი [illegible]თარები ერთმანეთს, რომ ერთ სიტყვასაც ვერ შეცვლი დიდი [illegible]იას მიერ 100 წლის წინათ ნათქვამში. თუმცა თევზის მრეწველობა საქართველოში ყოველთვის დაქცეული როდი იყო.

[illegible] საუკუნის 80-იან წლებ[illegible] „საქთევზმრეწვი“ ოკეანეებსა [illegible]მლილ ზღვებში საშუალოდ [illegible] ათას ტონა თევზს იჭერდა, [illegible] ზღვის ტერიტორიულ წყლე[illegible] — 30 ათას ტონას, ხოლო [illegible] ქვეყნების მოწეულ ფლოტ[illegible] ერთად — 120 ათასამდე [illegible]. რესპუბლიკის თევზგადამმუშავებელი საწარმოები სოფლის მეურნეობისთვის წლიწადში საშუალოდ 100 ათას ტონა თევზს [illegible]ებდნენ, მოსახლეობისთვის [illegible]0 ათას ტონაზე მეტს. ამას[illegible] 2000 ტონამდე საუკეთესო [illegible] იჭერდნენ რესპუბლიკის [illegible] წყალსატევებსა და საკ[illegible] მეურნეობებში. ასე გრძელდებოდა 1990 წლამდე. ამ წელს [illegible]ევზმა“ 93 ათასი ტონა [illegible]ზი მოიპოვა.

მაშინ თევზის მოხმარების მაჩვენებელიც მაღალი იყო, [illegible]რძოდ, ერთ სულზე 12 კილოგრამს გადააჭარბა (ფიზიოლოგიური ნორმა 22 კილოგრამია), ამჟამად 2 კილოგრამსაც ვერ აღწევს). მაგრამ ეს ყოველივე წარსულს ჩაბარდა, მოიშალა თევზის რეწვისა და გადამუშავების ერთიანი სისტემა, დაიქსაქსა, გასხვისდა და გაჩანაგდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ნეგატიური პროცესების შეჩერების მიზნით 1994 წლის 3 მაისის დადგენილებით რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შექმნა სახელმწიფო კონცერნი „საქთევზი“, მაგრამ დადგენილება ჯერჯერობით მხოლოდ ქაღალდზე რჩება. მიზეზს ახლავე აგიხსნით: დემონოპოლიზაციის, დეცენტრალიზაციის კონცეფციების მოშველიებით, პრივატიზაციის გაფეტიშებით და ამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტების საკუთარი ინტერესებისადმი დაქვემდებარებით თევზსამეურნეო ობიექტების უმრავლესობა ან განცალკევდა, ანდა ისეთ უწყებებში გაერთიანეს, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ თევზთან და მისი პროდუქციით მოსახლეობის მომარაგებასთან.

აი, ზოგიერთი მაგალითი: თბილისის თევზის მაცივარი და საფირმო მაღაზია „ოკეანე“ ჩამოერთვა კონცერნს. ქუთაისის მერიაც წინააღმდეგია თევზის სპეციალიზებული მაღაზიების დარგისათვის დატოვებისა. თბილისის თევზის ქარხანა მუნიციპალურ საკუთრებად აქციეს. თევზსაჭერი ფლოტის გემებიც გადავიდა კერძო საკუთრებაში და მათი მფლობელები თევზჭერას კომერციული ტვირთის გადაზიდვას ამჯობინებენ. გემების გარდა ამ სფეროს სხვა ობიექტების პრივატიზაციაც მოხდა, მაგრამ ეს პროცესი დარგში ისე მიმდინარეობს, რომ კონცერნის ხელმძღვანელობას არც კი უთანხმებენ.

უპრივატიზაციოდ საშველი რომ არ დაადგება ჩვენს ეკონომიკას, ეს ფაქტია. უამისოდ ვერც საშუალო ფენა ჩამოყალიბდება, რომელმაც უნდა იტვირთოს ქვეყნის ეკონომიკის სიმძიმე და გახდეს პოლიტიკური სტაბილიზაციის გარანტი, მაგრამ ვფიქრობ, ყველაფრის ასე ხელაღებით დაყიდვაც არ უნდა იყოს პოლიტიკურად და ეკონომიკურად მისაღები და გამართლებული. ისეც არ უნდა დაგვემართოს, ცხელი რძით შეშინებული დოს უბერავდაო. პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამაში, რომელიც 1992 წლის 11 აგვისტოს მიიღო მინისტრთა კაბინეტმა, ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ არ შეიძლება ტერიტორიული წყლებისა და ასევე წყლის რესურსების პრივატიზაცია, ისევე როგორც წიაღისეულის, საჰაერო სივრცისა და ასე შემდეგ, მაგრამ პროგრამის ეს მოთხოვნები ირღვევა.

მაგალითად, კუმისის ტბის სამეურნეო ნაგებობების პრივატიზაცია არც კი შეუტყობინებიათ კონცერნის ხელმძღვანელობისათვის. ამით შენიღბული მეურნეობის კოლექტივი 450 ჰექტარ წყლის ზედაპირსა და შესაბამისად მიწის ფართს ფლობს და თავისი შეხედულებისამებრ განახორციელებს თევზის რეწვას. არადა, დადგენილია, რომ რესპუბლიკაში ზღვის, მდინარეებისა და ბუნებრივი წყალსატევების კერძო მფლობელობაში არსებობა დაუშვებელია.

განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა თევზდაცვის, მისი რეგულირებისა და მარაგის აღწარმოების საქმეში. დღეისათვის ამ ფუნქციების შესრულება დაკის-

---

ელექტორატი

ნაჯიბგირალები პარლამენტში რომ არ იყვნენ

ახლა არჩევნების ციებ-ცხელებაა საქართველოში, ამიტომ მინდა მივმართო ბატონ ვახტანგ გოგუაძეს, რომ მან გამოიყენოს თავისი დიდი შესაძლებლობები და მიმართოს ერსა თუ ბერს, დიდსა თუ პატარას, განსაკუთრებით კი დეპუტატობის მსურველებს, რომ არ გაბედონ და არ იყარონ კენჭი შიზოფრენიით დაავადებულებმა, ნარკომანებმა, ბოზებმა თუ ცნობილმა ყალთაბანდებმა და ყომარბაზებმა, ბინის ქურდობისათვის ნასამართლევმა პირებმა, ნაჯიბგირალებმა თუ ყაჩაღებმა.

ეს აუცილებელია, რადგან ახლადარჩეულ პარლამენტში, ძველისაგან განსხვავებით, აღარ მინდა ვიხილო გიჟი თუ ცნობილი მეძავი...

გვეყო! ნარკომანები არ დამანახოთ პარლამენტში!...

წლების მანძილზე რატომ ერთხელ მაინც ვერ მოხერხდა დეპუტატების ნარკოლოგიური შემოწმება, არავიზე გქონდათ ეჭვი?

ვისურვებდი, რომ ჩვენს პარლამენტში ავირჩიოთ ის ხალხი, ვისაც კანონშემოქმედებითი მუშაობა ხელეწიფება — პოლიტიკოსები, ეკონომისტები, ისტორიკოსები, იურისტები.

გულზე ხელის ბაგუნი და ყვირილი — გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს,— ეს არც პოლიტიკოსობაა, არც ერის სიყვარული და ქვეყანასაც უფსკრულისაკენ უბიძგებს.

ისეთი პარლამენტარები ავირჩიოთ, როგორებიც მრავალჭირნახულ ერს ეკადრება, — სამშობლოს ერთგულნი, ჭკვიანები, საქმის მცოდნენი, კარგი წარსულისა და ჩინებული ოჯახის პატრონები.

ამით საქართველოს ეშველება.

გიორგი ირემაშვილი.
თბილისი.

დაგვიანებული რეპორტაჟი

არ ჰგავდა ტყვეთა ეს გაცვლა ენგურის ხიდზე სუპერაგენტების გაცვლას ორი დაპირისპირებული სახელმწიფოს სპეცსამსახურებს შორის.

გაწვალებულები და გაძვალტყავებულები გადმოვიდნენ „უაზიდან“ ისინი, ვინც ჩვენთვის უნდა გადმოეცათ: 4 მამაკაცი და ერთი, კაფანდარა ბიჭი, რომელმაც უფროსებზე ხწრაფად ალლო აუღო კადრში გამოჩენის მომგებიანობას და შეიფერა „მომენტის გმირის მნიშვნელობა“. სხვები შეწუხებულები ჩანდნენ ძალიან და არ ჰგავდნენ არც ჯაშუშებს, არც „ბოევიკებს“ და — არც იყვნენ.



მშიერი ბადრაგი პატიმრებს სთხოვდა პურს

— რად გვინდა ეგენი ჩვენ?! — ზობოქრობდა ანზორ მარგიანი, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის საგანგებო რწმუნებული დასავლეთ საქართველოში, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით აფხაზეთში დევნილთა ეტაპობრივი დაბრუნების ორგანიზება ევალება, — ქათმის ქურდები და სპილენძის ქურდები გვაკლია ახლა? ჟავდეთ იქ და, რაც უნდა, ის უქნან. არ გვჭირდება და მორჩა!

მაგრამ აფხაზებმა მაინც გადმოიყვანეს — არც ჩვენ გვჭირდებაო. ამ ოთხი კაციდან ორზე ამბობდნენ ამას, ქურდობაზე რომ დაეჭირათ გალში.

იდგნენ ახლა ის ორნი შუა ხიდზე, იდგნენ და არ იცოდნენ — ზუგდიდში კვლავ დააპატიმრებდნენ, თუ სახლებში გაუშვებდნენ. არავის შეუხედავს მათთვის. ისე ჩამოცილდნენ, ვითომ არც არსებობდნენ, და იდგნენ მარტონი, ბადურებით ხელში.

მერე წალასლასდებიან ცარიელ შარაზე ქალაქისკენ, თუ სოფლისკენ?

აი, ეს მაღალი და ხმელ-ხმელი ახალგაზრდა კი, რომლის შავი ტანსაცმელი სახის კანის ავადმყოფურ სითეთრეს განსაკუთრებით უსვამს ხაზს, სხვა განზომილებიდანაა — ჩვენი მოუწყობლობისა და ჩვენი ტკივილის განსახიერებაა ნამდვილად. 8 თვე სეპარატისტთა ციხეში იყო ისიც და იქაც და მანამდეც ყველა წამება გადაიტანა, რაიც კი არსებობს იმათი „ოხრანკის“ პროფესიულ ჩვევათა არსენალში. გურამი ჰქვია, გვარად — მარღანიაა.

გადაეხვივნენ დამხვდურნი, დაბრუნება მიულოცეს. მადლობთო, დიდი მადლობაო... მალე ტაქტიანად ჩამოეცალა ყველა, ჟურნალისტებს დაგვითმეს გურამ მარღანია.

22 აგვისტოა. საღამო. რვის ნახევარი დაახლოებით.

ორად გაყოფილი ხიდი, შუა ნაწილი — არავის ტერიტორია (?!) საზღვარი?

რომელი და როგორი?

არის საზღვარი სივრცული, სივრცით ზღვარდადებული; დროისა, დროით განსაზღვრული და არის მესამეც — რაიმე მიზეზით შექმნილი საზღვარი, იძულებითი, რომელიც დროებითია და გარკვეულ სივრცეთა შორის არის გადებული.. ჩანს, ასეთ პირობით საზღვარზე ვდგავართ.

ადამიანების ორი ჯგუფი — იქით და აქეთ. ჯავშანჟილეტიანი ორი „ცისფერი მუზარადი“ — უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

და ინტერვიუ საკუთარ ქვეყანაში ტყვედ ნამყოფ კაცთან.

აბსურდული სიტუაციაა.

საუბარს დარეჯან კვარაცხელია იწყებს, საქართველოს ტელევიზიის ზუგდიდის ზონის კორესპონდენტი:

— **როდის დაგაპატიმრეს?**

— 94-ში დამაპატიმრეს, 27 დეკემბერს. — **ძლივს ლაპარაკობს გურამ მარღანია. უჭირს,** — ჩვენ წინააღმდეგობა არ გაგვიწევია. იქ ბავშვები იყო, ქალები, ხალხი იყო ბაღლებში ბევრი. — **თავის გასამართლებლად ამბობს თითქოს,** — წაგვიყვანეს — ჯერ გალში. დილით მოვიდნენ, წითელი ჯვრიდან ვართო. არ ვიცი, მართლა იყვნენ თუ არა. ჩვენი გვარები ჩაიწერეს და სურათები გადაგვიღეს.

რაც გალის მილიციაში გადავიტანეთ, ჩემს მტერს არ ვუსურვებ... ახლაც მტკივა თავი, ისე მირტყამდნენ. ცოცხალ-მკვდრები წაგვიყვანეს სოხუმში. იქ უარესი ამბავი დაგვმართეს. პირველი ორი კვირა მაგრად, მაგრად...

ჩერდება, ჩუმდება, რაღაც ახსენდება, ჩანს, აღრჩობს... პაუზა გაგრძელდა, თავს ვერ იკავებს — ატირდა. ძალიან მძიმეა მამაკაცის ცრემლი.

— **სასამართლო როდის გქონდათ? — დარეჯან კვარაცხელიას გამოჰყავს უხერხული მდგომარეობიდან.**

იპოვა ხელჩასაჭიდი ხავსი და მოადგა სიმშვიდის ნაპირს გურამ მარღანია

— მაისში იყო.

— **სოხუმში გაგასამართლეს?**

— სოხუმში. კაგებეს შენობაში. იყო სამხედრო პროკურორი, ვინც ჩვენ დაგვაკავა ისინი და მოსამართლე. ბრალდება წაგვიკითხეს. იმდენი რაღაცა ეწერა ჩვენს წინააღმდეგ, მარა რუსებმა თქვეს, ასე არ იყოო. კვარაცხელია იყო ერთი, აფხაზი, ვინც ჩვენ დაგვიჭირა, იმათში. იმან თქვა ჩვენზე, რომ ვერ მოასწრესო წინააღმდეგობის გაწევა. მაშინ სამხედრო პროკურორმა ჰკითხა, სად არისო უფრო მეტი თავდასხმა და ვინ უფრო აქტიურობსო?

— თქვა ამ[illegible]ონმა ჯამლუ[illegible] კვა[illegible]

იხევ ცრემლებმა დაახრჩო და გაჩერდა. ისევ დარეჯანმა იმარჯვა და შეეკითხა:

— **რამდენი მოგისაჯეს?**

— 13. 13 წელიწადი მომისაჯეს მე. შამუგიას — 12, ბესელიას — 13, გახოკიძეს — 15, ჯოლობავას — 13...

სამი დღე გარეთ არ გავეუყვანივართ ჩვენ „პრაგულკაზე“. იქ, ციხის უფროსი არის ვიტალი შიკრბა....

რატომ იწყებს ასე შორიდან? ალბათ რამე აქვს სათქმელი, მაგრამ იქ მისი მეგობრები დარჩნენ და ჩუმდება.

— გუშინ დილით მოვიდა ის, „დეჟურნი“.

— **მორიგე.**

— და ისაო, ეტაპი არის ახლაო, სხვაგან მიყავეთ და მომკიდა ხელი და ძალით გამიყვანეს გარეთ. ასე და ასეო. მე ბიჭებს ვუთხარი, რაც იყო. ხომ არ დავმალავდი? ჩვენ ერთად უნდა წავსულიყავით. მაგრამ... ვიტირეთ. ვერ დავტოვებდი ახლა მაგათ...

იხევ წაუჭირა ყელში ხპაზმამ.

— **რამდენი წლის ხარ? — შევეკითხე, მისი ყურადღება ამ სიმარტივეზე რომ გადამეტანა.**

— ოცდათვრამეტის... — **და გააგრძელა,** — ბევრი არიან იქ ციხეში, ჩვენები. გვარებიც ვიცი, ოღონდ მე არ დამინახია. კაკუბავა, მაგალითად.

— **ახლაა დაპატიმრებული?**

— ახალი მიყვანილია. ადრე კი ისაა დაპატიმრებული, ქვანია. ერთი წელი და ნახევარია, რომ ზის.

საუბარში ხიდი შემოგვეღია. საგუშაგოსთან ნათესავებიც შემოეხვივნენ და ინტერვიუსთვის აღარავის ეცალა.

იყო ემოციურად დამუხტული და ძალიან თავშეკავებული შეხვედრა: გრძნობების საჯაროდ გამომჟღავნებას თუ ერიდებოდნენ?

მიჰყავდათ ნათესავებს გურამ მარღანია, გათავისუფლებული წამების ციხიდან. სტუმრად მიდიოდა გურამ მარღანია, რადგან სახლი სოხუმშია მისი.

ეს ხანდაზმული კაცი დავიმარტოხელე, ენვერ ბოკუჩავა, ამას რაღას ერჩოდნენ?

— რკინიგზის ხიდზე ვიყავი, იქ დღეში 150-200 კაცი გადადის. გამოვდიოდი აქეთკენ, დინჯად მივდიოდით და უკნიდან დაგვიძახეს — „ანუკა“, გაჩერდითო! გავჩერდით. აბა, წამოდითო ახლა ჩვენსკენ! აფხაზეთის მილიცია იყო.

ვეუბნებით, ჩვენ აქ ვცხოვრობთ, ხიდს გაღმა, შამგონიდან ვართ, ზუგდიდის რაიონიდან ვართ. „კაკ რაზ“ თქვენ გვჭირდებითო, გვითხრეს.

ხოდა, ერთი ორმოცდაათი კაცი ვიყავით, გაგვიყვანეს იქით ყველა. დაგვსვეს მანქანაზე და წაგვიყვანეს გალში და მიგვიყვანეს ციხეში. იქ ყველა გაუშვეს ჩვენ ორის გარდა. თქვენც გაგიშვებთო, გვითხრეს, იმ დღეს დაკითხვაზე გაგვიყვანეს, არაფერი დაუწერიათ. რაზე მიდიოდით, რატომ გადმოხვედითო, გვკითხეს მარტო. ეს არის პოლიტიკაო, იმან გვითხრა — ციხის „ნაჩალნიკმა“. ნუ გეშინიათ, კაცი ხომ არ მოგიკლავთ, არავინ ხელს არ შეგახებთ და გაშვალთ მერე, როცა იქნებაო დრო. ხვალ-ზეგ, ხვალ-ზეგ და 85 დღე დამთავრდა.

56 წლის კაცი ვარ და მილიციასთან საქმე არ მქონია. კოლმეურნეობაში ვმუშაობდი სულ. ახლა 85 დღე აქ ვართ და არ ვიცი, სოფელში რა ამბავი დამხვდება.

— **სახლში თუ იციან, სად იყავით?**

— იციან. ჩემი მამიდაშვილი ცხოვრობს იქ. ლტოლვილი იყო და ჩემთან იყო. ახლა დაბრუნდა გალში. მოდიოდა ის ჩემთან ოჯახში, მოჰქონდა „პერედაჩა“, თორემ იქ საჭმელი არაფერი აქვთ. თვითონ მაგნებს არა აქვთ. პური იქ არ არის. „ბალანდას“ რომ ეძახიან, იმას გვაძლევდნენ ერთხელ დღეში. „პერედაჩას“ რომ ვღებულობდით, თვითონ თხოულობდნენ, პური ცოტა მოგვეცითო.

მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც გამოგვიყვანა. ყოველ ღამე ველოდით, ყოველ საღამოს...

* * *

გოჩა დოჩია, 18 წლისაა.

— **შენც ციხეში იყავი?**

— კი, ციხეშიც ვიყავი, ოჯახშიც 22-23 დღეა, 23 დღეა, კი.

— **როგორ დაგიჭირეს?**

— მე ჩემ ბეზიას სახლში წავედი, სოფელში. გზაზე მოვდიოდი. გაჩერდა მანქანა და ბებია და მეც, ყველანი დაგვიჭირეს და წაგვიყვანეს გალში. ბებია უკვე მოხუცი იყო და ის გაუშვეს. მე და ბიძია დაგვტოვეს. ბიძია გაიყვანეს, მერე მოიყვანეს, რა ვიცი. ამის შემდეგ წაგვიყვანეს იქით, ტყვარჩელში. კი — საჭმელს გვაძლევდნენ კარგად, ცუდად არ... არ... — **წაიბორძიკა.**

— **გვეპყრობოდნენ.**

— ჰო, გვეპყრობოდნენ. მერე მოგვიყვანეს გალში რამდენჯერ. მერე ბიძაჩემი გაიქცა. მაშინ ოჯახში ვიყავით. მერე ყველანი ეძებდნენ და ვერ ნახეს ბიძაჩემი. მე ვუთხარი, ისეთი მორბენალი არის, ვერავინ დაიჭერს. ისევ წამიყვანეს ტყვარჩელში. პირველად არ მექცეოდნენ კარგად — რატომ გაიქცაო ბიძაშენი. ამის შემდეგ რამდენჯერ მოვედით აქ, ხიდთან, მაგრამ არაფერი იყო. დღეს კიდევ მოვედით 11 საათზე. **რვა სრულდებოდა, ეს ბავშვი კი დილიდან მშიერი იყო და შეკითხვებით ვაწუხებდი.**

წავიდა გოჩა დოჩია, „ტყვე“ ნამყოფი 18 წლის ბიჭი. წავიდნენ ენვერ ბოკუჩავა, გურამ მარღანია, ის ორნიც წავიდნენ, ვინ ყურადღება რომ არ მიაქცია, და ამ გაცვლამ (ჩვენგან არავინ გაუშვეს) სიტუაციის ანომალიურობა კიდევ უფრო გაურკვეველი და გაუგებარი გახადა ჩემთვის.

ამიტომაც გადავალ ამჯერ ენგურს...

* * *

ნანახმა და გაგონილმა, ენგურს გაღმა საქართველოს ამ საზღვრის დროებითობაში დამარწმუნა სრულად.

დროებითი დროით განსაზღვრულს ნიშნავს. დრო კი წურება და ცოტაღა დარჩა, მგ[illegible]

არმაზ სანებლიძე.

P. S. გუშინ ანზორ მარგიანმა დარეკა რედაქციაში ზუგდიდიდან — ორი კაცი გაგვიცვლიათ გუშინ ენგურის ხიდზე[illegible]ხეთმა ინ[illegible]

[illegible]ნელ[illegible]ბ, ამიტომ მე კიდევ ჩამოვთვლი ზო[illegible]ქმა და მადლიერების გრძნობის გამო[illegible] ადამიანს სჭირდება. თუ თავგანწირუ[illegible]მობს და იბრძვის, მას სჭირდება ტკბი[illegible], რომ მას ხედავენ, აფასებენ და მომა[illegible] ეს ყველას სჭირდება, დიდი იქნება საქ[illegible] ჩვენ ვალში არ უნდა დავრჩეთ ამ ადამი[illegible]ნმა შოთა კვირაიამ გააკეთა ამ მოკლე [illegible]ბელი იყო. ამას დიდი გამბედაობა და [illegible]რდებოდა. ბატონ ჯამლეტ ბაბილაშვილ[illegible] მართლაც თავგანწირვამდე მისული თავ[illegible] და შეუპოვრობაა, ეს არის უნარი, [illegible] და სრულად გამოიყენო მისი შესაძ[illegible] ყური რომ დაგვეგდო და კვირაია, ბა[illegible] აი, მაშინ ნახავდით, რა მოგვივიდოდა [illegible]ას — ამიტომ არის საჭირო დიდი სიფ[illegible]ლება. ზოგიერთი, ასე ვთქვათ, სერგო[illegible] ეს ხავსებით გასაგებია, ფეხზე დგება [illegible]ექტივის ჯანსაღი ნაწილი. დანაშაული [illegible] როცა ჩვენ იქ მივედით და შევხვდით [illegible]ქ არის ისეთი ნაწილი, რომელიც, ალბ[illegible] ამ კოლექტივის ფეხზე დაყენებისა.

[illegible] დოკუმენტები სადღაც, რომლებიც ქვეყანაყოფ[illegible] სამ სეიფში? გადანახული ჰქონდა ისეთი სიები და დოკუმენტები, რომლებიც სასტიკი საიდუმლოა. მე არ მაქვს ახლა უფლება მოვუწოდო ვინმეს, რომ გამოიტანოს ეს დღის სინათლეზე, მაგრამ, ვინც ჩვენს ქვეყანაში ბევრს ლაყბობს, იმ სიებში თავისთავს ამოიკითხავს. ყოველივე ეს უნდოდათ შანტაჟირებისათვის (ბერიაც კი არ აკეთებდა ასეთ რამეს) — ვინ ვისთან იყო თავის დროზე კავშირში, ზოგი სხვა ქვეყნის, ზოგიც ამ ქვეყნის. ეს უწესრიგობა დაიწყო სწორედ ამ სამსახურის ხელმძღვანელობიდან. მე ძალიან დიდ პატივს ვცემ ბატონ ავთანდილ იოსელიანს, მაგრამ არც ერთ თქვენგანს არ ვამართლებ: საქმე რაღაც სიგნალებში არ არის, თქვენგან მე ათ სიგნალს მივიღებ დღეში, მაგრამ მე ვერ გავხსნი საქმეს, თქვენ უნდა შექმნათ ისეთი ატმოსფერო, რომ ამის გაკეთება შეუძლებელი იყოს. თუ თქვენ ამას არ გააკეთებთ, მაშინ ასეთი სამსახური საჭირო არ არის... ან მოადგილეები სად იყავით, ან კოლეგია სად იყო. თქვენ არ იყავით პროტესტის კოლექტიურ წერილს რომ მწერდით (მგონი, იოსელიანს არ მოუწერია ხელი, სხვა ყველა, თუ არ ვცდები, 1500 კაცი აწერდა ხელს)? პატარა რაღაცა წამომცდა, მცირე შენიშვნა და 1500 კაცი ფეხზე დადგა — როგორ გაგვიმეტეთო, თუმცა ჩვენ გადატრიალებაზე არ წავალთო, თქვეს (დაახლოებით ასეთი იყო შინაარსი), გულში კი მქონდათ. მოსკოვში მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში წამოსცდა გიორგაძეს: რომ მოენდომებინა, თურმე 30 თუ 40 წუთში აიღებდა ხელში

[illegible]ტურების ხელმძღვანელები ვერ დაგვეხმარნენ, მაშინ ბევრი რამ [illegible]იმალება, ხალხში გაჩნდება ეჭვიც და უნდობლობაც, რაც არცთუ ისე უსაფუძვლო იქნება. ამიტომაც რუსეთ-საქართველოს სწორ გზაზე გამოსული ურთიერთობის ინტერესებისათვის ის ჩვენი მეგობრები, რომელთაც მივმართეთ, ვალდებული არიან კეთილსინდისიერად და პატიოსნად მოიხადონ თავიანთი ვალი ამ ორი ქვეყნის წინაშე. დარწმუნებული ვარ, აქ არ არის ლაპარაკი არავითარ შურისძიებაზე. გამოძიება ჩატარდება სამართლიანად და ობიექტურად. როგორც იტყვიან, კლასიკურად. არ უნდა დაირღვეს არავის უფლება, არც დაზარალებულის და არც იმ ადამიანის, რომელმაც ეს ბოროტება ჩაიდინა...

მინდა მადლობა გითხრათ იმ განწყობისათვის, რომელიც დღეს ა[illegible] დარბაზში სუფევს. აქ სხედან პარლამენტარებიც, ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კ[illegible]მათში. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი განწყობილება — საქმიანი და სერიოზული, პასუხისმგებლობის განწყობილება მალე დამკვიდრდება მთელ ქვეყანაში. მჯერა ისიც, რომ არჩევნებს მაღალ დონეზე ჩავატარებთ და საქართველო არჩევნებიდან გამოვა უფრო განმტკიცებული, გამთლიანებული და განწმენდილი.

(გამოსვლა იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით).

საქინფორმი.

ამინდი

5 ოქტომბერს

დასავლეთ საქართველოში — მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი, ზოგან წვიმა, იქროლებს წამში 7-12 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 7-12, დღისით 12-17, მთაში — ღამით 3-8, დღისით 8-13, მაღალ მთაში — ღამით 1-6, დღისით 5-10 გრადუსი სითბო.

სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში იქნება წვიმა, ტემპერატურა — სოხუმში ღამით 10-12, დღისით 14-16, ბათუმში — ღამით 9-11, დღისით 13-16, ქუთაისში — ღამით 7-9, დღისით 15-17 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა მოსალოდნელი, ზოგან წვიმა, იქროლებს წამში 9-14, ალაგ-ალაგ 17-22 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 7-12, დღისით 14-20, მთაში — ღამით 2-7, დღისით 10-15, მაღალ მთაში — ღამით 0-5, დღისით 5-10 გრადუსი სითბო.

ბორჯომის ხეობასა და სამცხე-ჯავახეთში — ღამით 2-7, დღისით 10-15, მაღალ მთაში — ღამით 0-5, დღისით 5-10 გრადუსი სითბო.

კავკასიონისა და თრიალეთის საძოვრებზე, მოსალოდნელი წვიმა, იქროლებს წამში 9-14, მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა — ღამით 2-7, დღისით 10-15, მაღალ მთაში — ღამით 0-5, დღისით 5-10 გრადუსი სითბო.

თბილისში იქნება ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით წვიმა, იქროლებს წამში 9-14, ქალაქის გარეუბნებში 17-22 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა — ღამით 10-12, დღისით 18-20 გრადუსი სითბო.

ოქტომბერში გვარიანად აგრილდება

ოქტომბერი საქართველოში წლის საუკეთესო დროა, — გრძელდება ოქროს შემოდგომა. ამინდი თანდათან იცვლება. თვის პირველ ნახევარში ზოგჯერ ზაფხულივით თბილა და ამ პერიოდს „პატარა ზაფხულს“ უწოდებენ. შესამჩნევად იკლებს როგორც მზის სიმაღლე და დღის ხანგრძლივობა, ასევე შესაბამისად ჰაერის ტემპერატურაც. კლიმატური მონაცემებით, ეს თვე საქართველოში სექტემბერთან შედარებით 3-7 გრადუსით გრილია. ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში მერყეობს 15-დან 17 გრადუსამდე, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში — 11-დან 15 გრადუსამდე, მთიან რაიონებში 9-დან 14-მდე, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 5-დან 9 გრადუსამდე.

ყველაზე მეტი ნალექი ოქტომბერში მოდის აჭარის სანაპირო რაიონებში — 280-300 მმ, ხოლო ყველაზე ნაკლები (40-50 მმ), ქართლის ვაკეზე.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა მიმდინარე წლის ოქტომბერში [illegible] საშუალო მრავალწლიურ მნიშ[illegible] თუ ამ [illegible] ებელია ტემპერატურის დაქვეითება [illegible] ღამით დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებსა და ქვ[illegible] ქართლში 4-9 გრადუსამდე, [illegible] და ქართლსა და კახეთის დაბლობზე ჩვენ რაიონებში 1-6 გრადუსამდე[illegible] (შირაქში, ელდარში და რესპუბლიკის მთიან რაიონებში 4 გრადუსი სითბოდან 1 გრადუსამდე, მაგ[illegible]ნავამდე), ხოლო მაღალმთიან [illegible] რაიონებში 0-5 გრადუს ყინვამდე.

ნალექების რაოდენობა [illegible] საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მოსალოდნელია სა[illegible] მრავალწლიურ რაოდენობამდე [illegible] აზე მეტი..

ოქტომბერში სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის საშიში ტემპერატურა მოსალოდნელი არ არის. აღმოსავლეთ საქართველოში, სექტემბრის უმეტესი დროის მშრალი ამინდების შემდეგ, ნავარაუდევი წვიმები ნიადაგის სახნავ ფენას დაატენიანებს. ამიტომ საშემოდგომო მარცვლეული კულტურების დროული აღმოცენებისათვის ხელსაყრელი პირობები იქნება.

საქართველოს მდინარეთა წყლიანობა შედარებით მაღალია მოსალოდნელი, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. წყალსაცავების დაცლა კვლავ გაგრძელდება.

ფულის რეფორმა

ლარს მდიდარი სპონსორი ჰყავს

სტენდ ბაის სამოცი მილიონი დოლარის კრედიტი, რომელიც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა გამოუყვეს საქართველოს ეროვნული ვალუტის პირველ ეტაპზე, კურსის სტაბილურობის შენარჩუნებისთვის რეალურ გარანტიას იძლევა. დოლარის დახმარებით ლარი სრულფასოვანი ვალუტის სიდიდეს შეიძენს და ჩვენი ხალხის ნდობას დაიმსახურებს.

არც ეროვნული ბანკი ყოფილა გულხელდაკრეფილი. იგი შეძლებისდაგვარად ილწოდა ლარის წინამორბედის — კუპონის დაკარგული ავტორიტეტის ამაღლებისთვის. მკაცრმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ და სავალუტო ბირჟაზე მთავარი ბანკის მიერ განხორციელებულმა სავალუტო ინტერვენციულმა მეთოდმა ამერიკულ დოლართან კუპონის კურსის გრძელვადიანი გაყინვა შესძლო. ჰიპერინფლაციური პროცესი შეჩერდა და იგი მართვადი გახდა. რესპუბლიკის ფინანსურ სფეროში მოხერხდა სტაბილურობის მიღწევა (საბოლოო სიმყარემდე, ჯერჯერობით, ადრეა საუბარი, მაგრამ ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის ესეც საკმაოდ სერიოზული მონაპოვარია), რაც წარმოების აღორძინებისთვის საკმაოდ კარგ პირობას ქმნის. თუმცა პირველ საფეხურზე ლარის სიმტკიცეს მაინც სტენდ ბაის 60-მილიონიანი სესხი შეუწყობს ხელს.

ამ პერიოდში უნდა დაიწყოს ეკონომიკის აღმავლობა, ამოქმედდეს წარმოება, შეიქმნას კონკურენტუნარიანი ნაწარმი, რომლის ექსპორტმაც საგზაო ვაჭრობაში დღეს არსებული საგადამხდელო დეფიციტი უნდა აღმოფხვრას. უამისოდ ეროვნული ვალუტის მყარი კურსის შენარჩუნება გაჭირდება, რადგან სავალუტო მარაგის გამოყენება, ექსპერტების აზრითა და რეფორმების პროგრამით, ერთ წლამდეა განსაზღვრული. ახლა ყველაფერი ჩვენზე — რესპუბლიკის მთავრობის კეთილ ნებასა და ხალხზეა დამოკიდებული.

მთავრობის კურსზე, იმაზე, თუ რა პოზიციას დაიკავებს იგი მომავალში (ახალი პარლამენტი, ალბათ, ახალ მთავრობას ჩამოაყალიბებს), ძალზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. თუმცა მარტო ადმინისტრაციული ზომები საქმეს წინ მაინცდამაინც ვერ წასწევს. ლარისადმი მოსახლეობის განწყობაც ძირითად როლს შეასრულებს. ხალხის მხარდაჭერის გარეშე ფულადი რეფორმის განხორციელება შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში, ასეთი მაგალითები სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან არ არსებობს.

დღეს კი, თამამად შეიძლება ითქვას, ლარმა სტარტი წარმატებით აიღო. ფულის რეფორმის მეორე კვირის თავზე, ჯერჯერობით, რაიმე სერიოზული დარღვევები არ გამოვლენილა. ლარის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადებამ მოსახლეობის კეთილი განწყობა დაიმსახურა, ყოველ შემთხვევაში, ლარისადმი უნდობლობა ჯერ არ იგრძნობა. რუსულმა რუბლმა კი პოზიციები დათმო და რომ არა ეროვნული ბანკისა და სხვა ძლიერი ბანკების თანადგომა, უახლოეს მომავალში რა ბედი ეწეოდა მას, ძნელი სათქმელია. სამპროცენტიანმა საკომისიო სავალდებულო გადასახადმა, რომელიც დროებით დააწესეს ახალმა ქართულმა ბანკმა, „აერობანკმა“, და „ინდუსტრიაბანკმა“, რომ იტყვიან რუბლს სულზე მოუსწრო. 27 სექტემბრიდან უცხოური ვალუტის ლარზე გადაცვლის ბარეა ოფიციალურ კურსზე სამპროცენტიანი დანამატით განისაზღვრა. იმ დროისათვის უკვე ოფიციალურისაგან (ერთი ლარი — 4000 რუბლი) განსხვავებით 5.000 რუბლად იყიდებოდა. ვარდნის ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდებოდა.

დღეს რუსული რუბლის მოთხოვნა შავ ბაზარზეც დაეცა, ლარისა კი დღითი-დღე იზრდება.

თბილისის ბანკთაშორისო სავალუტო ბირჟაზე 2 ოქტომბერს გამართულ ვაჭრობაზე ეროვნულმა ბანკმა რუბლს კიდევ ერთხელ ჩაუმართა ხელი ჭარბი რუბლებით, რომელიც გაუყიდავი რჩებოდა: მცირედ შეისყიდა 4000 [illegible] 1 ამერიკული დოლარი — 1,3 ლარად გაიყიდა.

შოთა მაჭარაშვილი.

50 თეთრი, 30 თეთრი, 35 თეთრი...

ასეთ, ჯერ კიდევ უჩვეულო ფულის ერთეულებთან მქონდა საქმე გუშინ დილით. საქმე ის არის, რომ ჩემი პატივცემული ავტომანქანა მომსახურების მყავს მიჩვეული და გადავწყვიტე, საფუშით კვირის დასაწყისი რკინის მეგობრის გარეცხვით „ალმენინში“.

ამ მიზნით სისტემატურად დავდივარ ვაშლიჯვარში. ჯერ ერთი, ამ ავტოსამრეცხაოს საკმაოდ ლამაზი სახელი „ჩეკატო-12“ ეწოდება, მეორეც, ოპერატორად აქ უკვე 22 წელიწადია მუშაობს ჩემი თანაკლასელი ქალბატონი ზაირა ბერაძე (უფროსი — მ. ღლონტი); მესამეც — სამრეცხაო მეტად მოხერხებულ ადგილზეა — თბილისის შემოსასვლელში, დიღმის მასივთან ახლოს.

...ვედაც, ლამაზი ხელით ქართულად წაეწერათ: „ავტომანქანის გარეცხვა — 50 თეთრი“. ასევე ქართულ ფულზე იყიდება ავტოსათადარიგო ნაწილებიც. სხვა მომსახურებაც ჩვენს ვალუტაში — ფორზე და ლარზე ხდება.

[illegible]

ანზორ გაბილაია.

[illegible] ხალხის [illegible]ანობა

[illegible]ნფლიქტის მოწესრიგების გზებს, [illegible]ონფლიქტის ზონებში და სხვა [illegible] ბუტროს ბუტროს ღალის მიერ [illegible]ის მქონე დიპლომატის ივლიუ[illegible]ოში ასეთი მაღალი მისიით, თა[illegible]ია და ხაზს უსვამს გაერთიანე[illegible]ნტერესს საქართველოში კონფ[illegible]ბით.

კომიტეტის პრესცენტრი.

[illegible]უპულ ქართველ [illegible] თბილისში [illegible]სვენებენ

[illegible]აბინეტის კინო-დარბაზში გაიმარ[illegible]აკარგულ მებრძოლთა მოძიები[illegible] დაცვის სამთავრობო კომი[illegible]ემიერის ავთანდილ მარ[illegible]

[illegible]ლ მებრძოლთა მოძიების შე[illegible]ული შეილის მამამ, კომისიის [illegible]ლე დობორჯგინიძემ. [illegible]რესთან მოლაპარაკების შედე[illegible]სმის „ბაბუშერას“ აეროპორ[illegible]ელი მეომრის ნეშტი. ითქვა, [illegible]ბისათვის საჭიროა ხელსაწყო[illegible]ბახადა, მეომრები დასაფლავ[illegible]

ვიზიტის წინ

შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის საფუძველს ჩაუყრის პოლიტიკურ დიალოგს და აღიარებს ადამიანის უფლებებს, როგორც თანამშრომლობის ქვაკუთხედს

ევროკავშირის კომისარი საქართველოს ეწვევა

დღეს, 5 ოქტომბერს თბილისში ვიზიტად ჩამოდის ევროკავშირის საერთაშორისო ურთიერთობის საკითხთა კომისარი ჰანს ვან დენ ბრუკი. ვიზიტის პროგრამაში, რომელიც სამ დღეს გასტანს, არის შეხვედრები სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან, პრემიერ-მინისტრთან ოთარ ფაცაციასთან. საქართველოს პარლამენტის სპიკერთან ვახტანგ გოგუაძესთან. ჰანს ვან დენ ბრუკი ეწვევა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს.

თბილისში კომისარი ხელს მოაწერს მემორანდუმს 1995-96 წლებში საქართველოსათვის ევროკავშირის მრავალმხრივი დახმარების შესახებ. იგი მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის დ[illegible] დაქალაქში ევროკავშირის მისიის გახსნაში, ტექნიკური დახმარ[illegible]ბის პროგრამის პროექტის პრეზენტაციაში. გათვალისწინებულ[illegible] აგრეთვე, რომ იგი ეწვევა თბილისის პირველ საქალაქო საავად[illegible]ყოფოს, დაათვალიერებს თბილსრესს, გაეცნობა საქართველო[illegible] წითელი ჯვრის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლობ[illegible] საქმიანობას.

ვიზიტის დასასრულს ევროკავშირის კომისარი აპირებს შე[illegible]დეს ჟურნალისტებს და გაუზიაროს შთაბეჭდილებები საქართ[illegible]ლოში ყოფნის შესახებ.

საქართველოში ოფიციალურად გაიხსნება ევროკავშირის დელეგაცია

ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა კომისარის ბატონ ვან დენ ბრუკის საქართველოში ვიზიტს მიეძღვნა ევროკავშირის ელჩის ბატონ დენის კორბოის გუშინდელი პრესკონფერენცია.

— ვიზიტის გამოცხადებით ბატონი ვან დენ ბრუკი გახსნილად გამოაცხადებს მოლაპარაკებას პა[illegible]

[illegible] ფუძეელს ჩაუყრის პოლიტიკურ დიალოგს და აღიარებს ადამიანის უფლებებს, როგორც თანამშრომლობის ქვაკუთხედს. ევროკავშირის ელჩმა აღნიშნა, რომ ბატონი ვან დენ ბრუკი ოფიციალურად გახსნის ევროკავშირის დელეგაციას საქართველოში. საქართველოს პრემიერ-მინისტრთან [illegible]

[illegible]ნი ვან დენ ბრუკი გახსნის ტასისის ახალ პროექტს სახელწოდებით „სამოქალაქო სამსახური რეფორმა და სახელმწიფო მოხელეთა მომზადება საქართველოში“. ტასისი სამ ძირითად მიმართულებას ისახავს: საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და დემოკრატიის მშენებლობისათვის მხარდაჭერას, [illegible]

[illegible] გატარებისა და დემოკრატიული გარდაქმნების კურსის, — თქვა ბატონმა კორბოიმ; — ეს ძნელი და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ქვეყანამ უმეტესწილად თვითონ უნდა განახორციელოს, მაგრამ ამასთანავე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვა სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებას ამ მიზნის მიღწევაში [illegible]

მზია ბელენ[illegible]

გამომცემელი - შპს „პრესა“. [illegible]